

Handwritten signature or mark at the top right corner.

კავკასიის

ქალაქი

КАВКАЗСКИМ
ГОРОДЪ

შანი ნომრისა 3 მან.

Цѣна номера 3 руб.

№ 3.

თბილისი
ТИФЛИСЪ

15 თებერვალი 1919 წ.
февраля г.



კავკასიის ქალაქი

ორკვირეული გამოცემა თვითმართველობათა კითხვების შესახებ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, სომხის ბაზარი, № 6.

ქალაქთა კავშირი, ტელეფ. 7-31.

ხელის მოწერის პირობანი: ერთი წლით—60 მან., ექვსი თვით—35 მან., სამი თვით—15 მ., ერთი ნომერი თბილისში—3 მ. სხვა ქალაქებში—3 მ. 50 კ. მისამართის გამოცემა—50 კ. განცხადებების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ვინც ქალაქთა თვითმართველობებში ალაგს ექვს მათ გადახდებამ წახვევარი.

„Кавказскій Городъ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.

Адресъ редакціи и Конторы: Тифлисъ, Армянскій Базаръ, 6.
Союзъ Городовъ. Телефо́нь 7-31.

Условія подписки: на 1 годъ—60 руб., на 6 мѣснц.—35 руб., на 3 мѣснц.—15 руб. За перемѣну адреса—50 коп. Цѣна отдѣльнаго номера: въ Тифлисъ—3 руб., въ другихъ городахъ 3 руб. 50 коп. Плата за объявленія: за строку печата позади текста—1 руб. 50 коп. Для лицъ, ищущихъ труда въ городскихъ Управленіяхъ, въ половинномъ размѣрѣ.

При сношеніяхъ съ редакціей просить прилагать свой точный адресъ. Пріемъ редакторомъ ежедневно, кромѣ празднико́въ, отъ 1 до 3 ч. дня.

კავკასიის ქალაქი

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის

==== ო. რ. ზ. ა. ნ. ო. ====


ორკვირეული გამოცემა თვითმართველობის კითხვების შესახებ.

6 107

КАВКАЗСКИЙ ГОРОДЪ

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.



№ 3.

თბილისი
Тифлисъ

15 თებერვალი
февраль 1919.



შ ი ნ ა ა რ ს ი :

ქ ა რ თ უ ლ ა დ :

- 1) გ. ნანეიშვილი. — დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანობათა შორის. (გაგრძელება).
- 2) გ. თუმანოვი — მცირე ერობა და სახალხო გინათლება. (თარგმანი).
- 3) ს. რობაქიძე. — საშკოლო აღმშენებლობა. (გაგრძელება).
- 4) დ. ონიაშვილი — ერობის ბიუჯეტი.
- 5) ი. ქურდიანი — როგორ უნდა მოეწყოს აგრონომ. დახმარება ერობებში.
- 6) ქრონიკა { ქალაქთა თვითმართველობებში.
ერობათა თვითმართველობებში.

რ უ ს უ ლ ა დ :

- 1) ა. კალიუჟნი. — კანტროლის ორგანიზაცია საზოგადოებრივი დაწესებულებებში. (დასასრული).
- 2) პსკოვიჩი. — საერობო მიწების შეფასება. (დასასრული).
- 3) გ. თუმანოვი — მცირე ერობა და სახალხო განათლება.
- 4) სოკოლოვი — ერობის საშუამავალო მოღვაწეობა.
- 5) მ. უადანოვი — საქართ. რესპუბ. გზების გეგმის განვითარება. (დასასრული).
- 6) ნ. კონიევე — საერობო — საქალაქო ინსტიტუტი.
- 7) ვ. იანოვიჩი — ერობათა წარმომადგენ. პირველი ყრილობის შასახებ.
- 8) ქრონიკა.

С о д е р ж а н и е :

На грузинскомъ:

- Г. Нанейшвили. — Взаимотнош. между цент. и мѣст. органами. (Продол.)
Г. Тумановъ. — Мел. земство и народ. образ. (Перев.)
С. Робакидзе. — Школьное строительство. (Продол.)
Д. Оніашвили. — Земскій бюджетъ.
И. Бурдіани. — Организация агрономичес. помощи въ земствахъ.

Хроника.

На русскомъ:

- А. Калюжный. Организация Контроля въ общественныхъ учрежд. (Окон.)
Псковичъ. — Земская земельная оцѣнка. (Окон.)
Г. Тумановъ. — Мелкое земство и народное образование.
В. Соколовъ. — Посредническая дѣятельность земствъ.
М. Жадаиновъ. — Планъ развитія дорожной сѣти въ Респ. Грузин. (Окон.)
Н. Кошава. — Земско-Городской Институтъ.
В. Яновичъ. — Первый съѣздъ земствъ Грузин.
Резолюціи перваго земскаго съѣзда Грузин.

Хроника.

დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოთა შორის.

(გაგრძელება).

III.

თუ რამდენიმე თვის წინათ სახელმწიფოს მოღვაწეობა განისაზღვრებოდა ელემენტალური მიზნებით, როგორც არის სახელმწიფოს საზღვრების და სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვა, და ცენტრალური ორგანოები თავის ფუნქციებს ასრულებდნენ ადგილობრივ ორგანოთა დაუხმარებლად, ესლა, როდესაც საკითხები მეტი მეტად გართულდა და სახელმწიფოს წინაშე აღიმართნენ მრავალი საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ, ცენტრალურ ორგანოებს არ ძალუძთ ამ მრავალ საკითხების გადაწყვეტა, და იძულებული არიან ნაწილი სახელმწიფო მმართველობის ტვირთისა, გადაიტანონ ახალგაზდა ადგილობრივ ორგანოებზე, და მრავალი ამ საკითხების გადაწყვეტა მიანდონ მათ.

რამოდენიმე წლის განმავლობაში, (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ორი უკანასკნელი წელი), სახელმწიფო ხაზინაში არ შემოსულა გადასახადები, და რამოდენიმე გადაუხდელი მილიონი მანათი ხალხს ადევს ვალათ, რომელიც მან აუცილებლად უნდა გადაიხადოს თუ მას თავის მოვალეობა ნათლად აქვს შეგნებული. ჩვენ გვქონდა მრავალი შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, რომ ცენტრალური ორგანოები ვერ აიძულებენ მცხოვრებლებს შეასრულონ თავისი სახელმწიფოებრივი მოვალეობა. ექვს გარეშეა, ამ სფეროში, როგორც მრავალ სხვა დარგებშიაც დიდ დახმარებას ცენტრალურ დაწესებულებებს გაუწევენ ადგილობრივი ორგანოები. ახალგაზდა ერობების მცირე პრაქტიკამ, დაგვანახა, რომ ადგილობრივ ორგანოებს, საკმარისი რეალური ძალა უფლება აქვთ თავის წევრთა მიმართ, და იმიტომაც მთავრობის ცენტრალური ორგანოები იძულებული არიან ადგილობრივ მცხოვრებლებზედ იმოქმედონ ერობათა საშვალებით. ხალხი სიამოვნებით უწევს მატერიალურ დახმარებას იმ ორგანოებს, რომლის მოღვაწეობა მის თვალწინ მიმდინარეობს და რომლის რეალურ ნაყოფს თვითონ გრძნობს და ხედავს. იმიტომაც ჩვენი მთავრობა სრულებით არ ადგია იმ გზას, რომ შეამციროს ადგილობრივი ორგანოთა როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო მშენებლობაში, არამედ სცდილობს და ყოველ საშვალებას ხმარობს ერობების გასაძლიერებლად და ხალხში მათი ავტორიტეტის და პრესტიჟის ასაწევად. მაგრამ ადგილობრივ მმართველობის საკითხს, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ რეალურ პირობებში არა აქვს ის მკაცრი და განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა როგორიც აქვს მას სახელმწიფოში, რომელიც ფლობს ფრიად ვრცელ მრავალფეროვან მცხოვრებლებით დასახელებულ

ტერიტორიას; აქ ერთ ცენტრიდან მომქმედმა დაწესებულებამ რომ ადვილათ შესძლოს და არ გაუწიოს ანგარიში ადგილობრივ განსაკუთრებულ თვისებებს და გამოიწვიოს მთელი სახემწიფოს კრიზისი, და რომ ასეთ სახელმწიფოს ხალხი რომ ყავდეს მორჩილებაში, ესე იგი, ანხორციელოს ტერიტორიალური ბრძანებლობა და ნაყოფიერად უკარნახოს ერის მცხოვრებთა ნაწილს სახელმწიფოებრივი ნება, ცენტრალური დაწესებულებები იძულებული არიან თვისი ავტორიტეტო და ძალა დაამყარონ ადგილობრივ ორგანოებსზე.

ჩვენ ახალგაზდა ერობებს არ აქვთ ტრადიციები, არ აქვთ თვისი პოლიტიკური ისტორია და მრავალ წლობით შემუშავებული მიზნები, და ამიტომაც ვფიქრობთ ერობის საკითხს ჩვენში არ აქვს ის განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც ქონდა მას მაგალითად რუსეთში, სადაც სწარმოებდა შეუწყნარებელი ბრძოლა ცენტრალურ და ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის. ამ მიზეზების გამო რუსეთის ადმინისტრაციული ორგანიზაცია, როგორც საფრანგეთში და პრუსიაში წარმოადგენდა კომპრომისს ცენტრალურ და ადგილობრივ სისტემების შორის.

ჩვენ კი საშვალებას მოკლებული ვარ ვილაპარაკოთ რაიმე კომპრომისებზედ, რადგან ცენტრალური დაწესებულებანი სრულებით არ გამოსთქვამენ სურვილს თავის ზედამხედველობის უფლება დაამანინჯონ ღრმა ცხოვრების შემმაჩერებელ მთავრობის ოპეკით, და თუ მთავრობა იღებს საჩქარო ზომებს ადგილობრივი ორგანოთა მოღვაწეობის მოსაწესრიგებლათ, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მას ღრმათ სწამს, რომ სახელმწიფოს მმართველობის რაციონალური მოწყობა შესაძლებელია, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივ ორგანოთა დახმარებით. არ შეიძლება ლაპარაკი კომპრომისზედ იმისათვისა რომ ძნელი წარმოსადგენია. ჩვენ სახელმწიფოებრივი სინამდვილეში, ისეთი სფერო სადაც შესაძლო იყოს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის მეტოქეობის განვითარება რადგან როგორც ცენტრალურ ის ადგილობრივი ორგანოს უფლებანი ემყარება ერთსა და იმავე საფუძველზე, როგორც უმთავრესი (Вѣдповное) მმართველობა, ისე ადგილობრივი ერთობა ერისა და იმავე პრინციპს ეს პრინციპია და ხალხის ნებისყოფლობა.

ამისთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოთა პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს შეეჯახონ. ყოველი კონფლიქტი ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოთა შორის, არსებითად იქნება დავა მხოლოდ უფლებაზედ და არა ძალაზე.

ეჭვი შეიძლება დაიბადოს რომელმე ერთ მცხოვრებლების ნაწილის შესახებ, მაგრამ სახელმწიფოს საზღვრების განტყიცების შემდეგ, მორჩილებიდან გამოსვლის მოსურვე ელემენტები ადვილად შეიძლება იქმნენ მოყვანილი საერთო სახელმწიფოებრივ მორჩილებაში და ასეთი განსაკუთრე-

ბული პირობების მიხედვით არავენ არ ცდილობს ადგილობრივი ორგანოთა თვითმართველობის შეზღუდვას.

მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენტრალური ორგანოები ჩაყენებული უნდა იყვენ ისეთ ირუდიულ ფარვლებში, რომ ისენი სამუდამოთ მოკლებული იყვენ ადგილობრივ ორგანოების ხარჯზედ გაათართონ თავის, ფორმალურად ერობის კონსტიტუციის მიერ განსაზღვრული კომპეტენცია. იმუნიტეტის მცნება სრულებით გამოუყენებელია ჩვენ ადგილობრივ ორგანოებისათვის, რადგან არ არსებობენ ისეთი დაწესებულებანი, რომლის თავდასხმიდან უნდა იქნას დაზღვეული ადგილობრივი ორგანოთა უფლებანი. მაგრამ ერთ გვარ პსიხიურ აბბერაციის ძალით ხანდისხან ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობას აზროვნობენ, ძველ უკვე განიავებულ რუსეთის სინამდვილეში, და ამიტომაც ხშირად მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არავითარი სიპტომები, ეშინიათ ბრძოლის გაჩაღებისა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის.

აი, ასეთ ნორმალურ პირობებში შესაძლებელია სწორი და სამართლიანი კომპეტენციების განაწილება დროებითმა მთავრობამ მერმე კი, ამიერ კავკასიის სეიმმა ერობათა განგებლობაში შეიტანა ის ვრცელი საკითხების რიგი, რომლის წინგაძიოლა ადვილათ შეეძლოთ ერობებს. ძნელი არის ერთი, რომელიმე მაგალითის მოყვანა, სამეურნო ცხოვრების სფეროდან, რომლიც მეორე მუხლით მიერ არ იყოს გათვალწინებული. „Временное положение о зем. Учр. в. Закав. ст. 2) მაგრამ ცხადია, რომ ერობათა და ქალაქებთა ორგანოების კომპეტენციის ასეთი სამეურნეო საკითხებით განსაზღვრა არ შეესაბამება ჩვენს დღევანდელ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას.

რუსეთის ბიუროკრატბა, რომელიც ამ შემთხვევაში საფრანგეთის და პრუსიის ცენტრალისტებს მიყვებოდენ, სცდილობდენ ერობათა განგებლობის შეზღუდვით შეესუსტებინათ მათი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი ამშენებლობაში. მიუხედავად ამისა ძველ რუსეთშიაც ერობათა მატერიალური კომპეტენციას შეადგენდა, არა მარტო სამეურნო საკითხების რიგი, არამეთ ერობები და ქალაქები აზორციელებდენ თავის უფლებებს სხვა საკითხების მიმართაც. მაგალითად, ერობები განაგებდენ სკოლებს არა მარტო მეურნეობის მხრივ, არამეთ მათ ქონდათ გავლენა თვით სასკოლო საქმეების დაყენებაზე. (იხილეთ კისტიაკოვსკ. „Областная Автономія и ея пределы“). მაგრამ თუ გვსურს ერობათა უფლებების და მატერიალური ქვემდებარეობის გაფართოება, საჭიროა გარემოების ნათელი შეგნება, რათა ადგილობრივი ორგანოები არ გამოვიდენ მეტის მეტი დატვირთული ახალი ფუნქციებით. ზოგი წარმოსთქვამდა იმ აზრს, მაგალითად, რომ ადმინისტრატიული და ადგილობრივი მართველობის დაახლოვებით, მეტის მეტად რთულდება ადგილობრივი ორგანოთა მოღვაწეობა. მაგრამ საქართველოს პარლამენტმა ასეთი დაახლოვება, რომელიც

მოხდა ადმინისტრაციის ერობებზე გადაცემით, შემოსა ისეთი პირობებით, რომელიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მთლიანობას და მმართველობის ერთფეროვანობას.

ადგილობრივი ორგანოთა კომპეტენცია არამც და არამც არ უნდა იყოს იმდენათ გაფართოებული, რომ ეკარგებოდეს მნიშვნელობა სხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს, რადგან სწორი, რაციონალური სახელმწიფოს მმართველობა შესაძლოა. მხოლოდ სხვა და სხვა რიგის ორგანოთა შორის შრომის განაწილებით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არის საკითხები, რომლებიც შეუძლებელია, რომ იქნეს შეტანილი ერობათა გამგებლობაში, ჩვენ მოვიყვანეთ სამხედრო ძალების ცენტრალიზაციის მაგალითი, მაგრამ არის მრავალი სხვა საკითხები, რომელიც არაფრის გზით არ შეიძლება, რომ სრულებით ერობაზედ ან რომელიმე სხვა ადგილობრივ ორგანოზედ იყოს მინდობილი. შეუძლებელია, რომ ადგილობრივ ორგანოებს ქონდეთ მინიჭებული საკანონმდებლო უფლებები, თუმცა „სავალდებულო დადგენილებანი“, რომლის გამოცემის უფლება აქვთ ქალაქების და ერობათა ორგანოებს, თავის შინაარსით უახლოვდებიან კანონმდებლურ მოღვაწეობას. მაგრამ ფარმალურად ეს მოღვაწეობა სრულებით სხვა რიგის და მნიშვნელობის მოღვაწეობა. სავალდებულო დადგენილებანი უმთავრეს შემთხვევაში ეხება მცირე მნიშვნელოვან საკითხებს. ყველაფერი ამას რომ დავხსნეთ, არის ერთგვარი მოსაზრებები, რომლებიც გამოწვეულია დღევანდელი სახელმწიფოს ეკონომიური სტრუქტურით, და ისინი (ე. ი. ზემოაღნიშნული მოსაზრებები) მოითხოვენ მთელ სახელმწიფოში მოქმედების გაერთიანებას..... ცხადია ის საკითხები რომლებიც ამ გარემოებებს და პირობებს ეხება ერობათა განგებლობაში შეტანილი ვერ იქნებიან. მაგალითად შრომის დაცვა, შრომის დაზღვევა, და ეგრე წოდებული არსებობის უფლების უზრუნველყოფა, (იხილეთ ამის შესახებ): Покровский. Право на существование. Новгородцевъ. Право на достойное существование. Кнетьковскій. Соціальныя науки и права, ст. 532. Менгер. Государство).

ეს საკითხები შეადგენენ საერთო სოციალური კანონმდებლობის საგანს. მაგრამ არის სხვა კატეგორია საკითხებისა, რომელიც ზოგიერთი დებულების დაცვით და პირობების მიხედვით შეიძლება იქნეს გადაცემული ერობათა გამგებლობაში. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის საკითხები რომლებსაც არა მარტო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ავიღოთ მაგალითად ადმინისტრაცია რამდენათ მიზან-შეწონილი იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობა, რომ ადმინისტრაცია სრულებით ერობების და ქალაქების ორგანოების გამგებლობაში ყოფილიყო გადაცემული, და ცენტრალური მთავრობის ორგანო, შინაგან საქმეთა სამინისტრო საშუალებას მოკლებულია ყოველივე რაიმე გავლენა იქონიოს ადმინისტრაციის ორგანიზაციაზედ და შინაგანობაზედ. განსაკუთრებული უფლების აღჭურვილი, და კომპეტენციის

მეტის მეტი გაფართოებით. ერობები შესაძლოა გამოიყონ ტერიტორიალურ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისაგან, რადგან ასეთ პირობებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ იარსებებენ ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც შეეცდებიან გაფანტული ერთეულების მოღვაწეობის გაერთიანებას. ზედამხედველობა ეს ისეთი ნომინალური უფლებაა, რომ თუ ის რაიმე სხვა უფლებრივი დებულებებით არ განისაზღვრება, უფრო რაციონალური ასეთი უფლების უარყოფა.

რადგან სრული *housen*-სია, რომ უფლებრივ სუბიექტს ქონდეს. ერთის მხრივ საშუალება თვალყური ადევნოს ვინმეს მოღვაწეობას და მეორეს მხრივ საშვალებას და უფლებას მოკლებული იყოს ამ მოქმედების რიგში, რაიმე შეცვალოს. ასეთი უფლება მხოლოდ ნარმატიული კატეგორიის მცნებაა, და რეალურ, საგრძნობელ სინამდვილეში, იგი უძლურია რაიმე სოციალური სასარგებლო ეფექტი გამოიწვიოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობა, შეუძლებელია განისაზღვროს ისეთი ელემენტარული ფუნქციებით, როგორც არის კანტროლი და ადგილობრივი ორგანოების მოღვაწეობისადმი ზედამხედველობა. შინაგან საქმეთა მინისტრს ყოველ სახელმწიფოში ევალება ბევრათ უფრო რთული და ძნელი ფუნქციების შესრულება. მას ევალება მთელ სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე წესწყობილების დაცვა. მით უფრო მეტათ ჩვენს რესპუბლიკაში არა რაციონალური და დამღუპველი იქნებოდა მთელ სახელმწიფოსათვის ამ ზემოაღნიშნული რთული ფუნქციების ასრულების გადაცემა ახალგაზდა ადგილობრივ ორგანოებისადმი.

რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთად ერთი პასუხისმგებელია სახელმწიფოს მთელი შინაგან ცხოვრების მიმდინარეობაში, მის განკარგულებაში, ნაწილობრივ მაინც, უნდა იყოს ყველა ის ძალები, რომლის საშვალებით შეესაძლებელია ნორმალური წესრიგის დაცვა: ყოველ სახელმწიფოში, ბოლო და ბოლოს, ცენტრალური ორგანოებს აქვთ ზეგავლენა ადმინისტრაციაზე და ადგილობრივ ორგანოების მოღვაწეობაზე, თუნდაც იმით, რომ მათ აქვთ პარლამენტის წინაშე ერობების დახმარების და სუბსიდიების გამოთხოვის უფლება რაიც შეუძლია მათ გააძლიერონ ეს თუ ის მხარე ადგილობრივი ცხოვრებისა. ეს გარემოება, როგორც სამართლიანათ აღნიშნავს გაჩეკი (Право современ. дем). უფრო თვალსაჩინოა დემოკ. სახელმწიფოებში „მიზეზი რომლის ძალით დემოკრატია არ აქცევს ყურადღებას თვითმართველობის უფლებების გაფართოებას, აიხსნება საკანონმდებლოს ორგანოს ბატონობით, რომელზედაც ემყარება პარლამენტალური დემოკრატია *ст. 158*. მხოლოდ წოდებრივ სახელმწიფოში, როგორც მოწმობას.

მხოლოდ წოდებრივ სახელმწიფოში: როგორც მოწმობს ჩადბურხი (Введение въ науку права გვ. 95) ქალაქების უფლებები იმ რიგათ ვრცელია, რომ მათ აქვთ თავის წევრების მიმართ განუსაზღვრული უფლე-

ბები. თანამედროვე თვითმართველობის ორგანიზაციას თავის გამომდინარეობის პუნქტად-კი სულ სხვა დებულება აქვს. ავიღოთ მაგალითად ინგლისი. კონსტებელი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მტკიცდება, არ არის უკანასკნელის აგენტი. ინგლისის კანონმდებლობისა და მართველობის ძირითადი თვისება, რომელთაც ის კონტინენტალური სახელმწიფოებისაგან განსხვავდება არის სახელმწიფოებრივი ძალათ მოუწესრიგებლობა (იხილეთ შნეჟ). ადგილობრივი ფინანსები გვ. 455) ინგლისში სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებს ადგილობრივ არ ყავთ დაბალი და საშუალო რანგის წარმომადგენლები, მაგალითად, როგორც არიან პრუსის ლახრატი და სხვა, მაგრამ იქ, ინგლისში პარლამენტი ზედამხედველობს და „ლაგმავს“ ადგილობრივ ორგანოებს კერძო და ადგილობრივი აქტების საშუალებით (prix ute li local a ets).

დემოკრატიულ სახელმწიფოში, მინისტრთა პასუხისმგებლობა; საკმარისი გარანტია იმისა, რომ ცენტრალური ორგანოები ვერ შელახვენ ადგილობრივ ორგანოთა ავტონომიას.

რა თქმა უნდა, რომ ადმინისტრაცია, რომელიც ერობის გამგებლობაში იმყოფება, უფრო (სარგებლობს ხალხის ნდომით) ვიდრე მთავრობის მიერ შედგენილი ადმინისტრაცია სარგებლობს ამისათვის. სამართლიანად ადგილობრივ ორგანოებმა შეიძლება ადმინისტრაციული მოწესრიგების და მოწყობის საქმეებში მოითხოვონ უპირატესობა. ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომ ცხოვრებლეთან უნდა იქმნეს, დაახლოვებული ისეთ ტრივიალური ჭეშმარიტებათ გახდა, რომ ამ დებულების დასაცავათ სრულებით მეტია ახალი არგუმენტების მოყვანა. ეს სიახლოვე, შეიძლება იქნეს მიღწეული, თუ მთელი ადმინისტრაცია არჩეული იქნა ხალხის მიერ, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია თუ რა საშიში შედეგებით არის სავსე ცხოვრებაში ამ პრინციპის სავსებით გატარება: დამოუკიდებელი ცენტრალურ ორგანოებისაგან მდგომარეობა. ადგილობრივ, ადმინისტრაციისა დამოუკიდებლობა ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები საშუალებას მოკლებული არიან ადგილობრივთა მმართველობის ინტერესები დაიცვან. იმისთვის რომ ადმინისტრაციის მოხელენი უზრუნველ იყვნენ თავის პროფესიონალური მდგომარეობაში. ერთ რიგათ იყოს დამოუკიდებელი როგორც ადგილობრივ ორგანოსაგან, რომლის მიერ ისენი დაყენებული არიან, ისე შინაგან სამინისტროსაგან: ადმინისტრაციის ამ სიახლოვის მიღწევა, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი შეიძლება არა მარტო იმიტ, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ირჩევს თვით მცხოვრებლები, მაგალითად კანდიდატის წარდგენა ერობის მხრივ, უზრუნველ ყოფს კომისრის კარგს მხარეებს, რადგან ერობის კრება ან გამგეობა უეჭველია, რომ ცდილობენ ყველაზედ უფრო ღირსეულს მისცენ თავისი ხმები. და თუ ადგილობრივ ორგანოებს უფრო მეტი უფლებები აქვთ,

ვიდრე მარტო კანდიდატის წარდგენისა საჭიროა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს ქონდეს რამე გავლენა თვით ადმინის. შემადგენლობაზე. ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოს ადმინისტრაცია, ერთად ერთი აღმასრულებელი ძალაა თვით სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე, და შეუძლებელი იქნებოდა რომ მისი ორგანიზაციაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდეს. ის ორგანოები რომელიც მოწოდებული არიან არა რომელიმე ერთი ტერიტორიის ნაწილის მცხოვრებლებით, არამეთ მთელი ხალხის ორგანოს, პარლამენტის მიერ. რა თქმა უნდა შინაგან საქმეთა მინისტრს რომ ქონდეს უფლება შტატების შედგენისა, ან კრედიტების განაწილებისა, ადმინისტრაციაზედ მას ექნებოდა დიდი გავლენა, მაგრამ ამით პარლამენტის ბიუჯეტის უფლება ირღვევა მხოლოდ მისთვის, რომ ერთის მხრივ ადმინისტრაცია არის ერთად ერთი ამასრულებელი ძალა და მეორეს მხრივ ის რომ ყოველ ცენტრალურ დაწესებულებას აქვთ მინდობილი სპეციალური რიგი საკუთრებისა, ამათ უნდა ქონდეთ საშუალება რომ პირდაპირი ბრძანებლობა გასცენ, მაგრამ ამ ბრძანებლობას ადმინისტრაციის მიმართ შეიძლება არ მოყვეს შედეგები, თუ მის შეუსრულებას არ სდევს რაიმე სასჯელი. ამის მხრივ სრულიად საკმარისი არის ის რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს უფლება გადააყენოს ასეთი ადმინისტრაციის აგენტი. აქ არის ის მინიმალური უფლება რომელსაც ცენტრალური მთავრობის ორგანო ახორციელებს ადგილობრივ ადმინისტრაციის მიმართ. აი, ამ მოსაზრებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იყო ის კანონი რომელიც ანიჭებდა შინაგან საქმეთა მინისტრს კომისარის დროებით გადაყენების უფლებას.

აი, ამ მაგალითით შევეცადეთ გვეჩვენებია, თუ როგორი მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ ადგილობრივმა და ცენტრალურმა ორგანოებმა იმ საქმეების და საკითხების მოწესრიგებაში რომლებსაც არა მარტო ვიწრო სამეურნო მნიშვნელობა აქვს, არამედ ფრიად დიდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვთ.

საქართველოს პარლამენტმა, როგორც ვიცით, მიიღო ამ ბოლო დროს ორი კანონი, რომელიც სპეციალურად ეხებოდა ადგილობრივ მმართველობრივ მმართველობას. პირველი კანონი ეხებოდა ადმინისტრაციის და მისთვის გაღებულ კრედიტების ერობისათვის გადაცემას და მეორე ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაწესებას. პირველის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თუ რა მოტივებით და მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ კანონ-პროექტის შემდგენლები. ამიერ კავკასიის საეროზო დაწესებულებათა დებულებით, სამაზრო და საგუბერნიო კომისრებს დავალებული ქონდა საეროზო ყრილობათა დადგენილების კანონებისადმი ზედამხედველობა (მუხ. 7, 132, 134) საეროზო დაწესებულებათა რევიზიის მოხდენა (მუხ. 154 და 155) და საეროზო ყრილობათა მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა სისწორისა და კანონიერებისადმი თვალყურის დევ-

ნება (მუხ. 180, 181). მე 7 მუხლის ძალით საგუბერნიო კომისარს ევალე-ბოდა თვალყურის დევნება ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობაზე კანონიერების მხრივ. 92 მუხლი სამოქალაქო დებულებისა და 181 მუხლი ერობის დებულებისა განმარტავენ, რომ ქალაქთა და ადგილობრივი ორგანოთა მოქმედება არასფერში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონებს, მაშასადამე საგუბერნიო კომისარის უმთავრეს მოვალეობას შეადგენდა თვალყურის დევნება, რომ ადგილობრივ ორგანოებს არ გადაეღახათ უფლებრივი საზღვრები, რომლის ფარგლებში უკანასკნელებს ქონდათ მინიჭებული უფლება თავისუფალი მოღვაწეობისა, 154 მუხლის ძალით გუბერნიის კომისარს ენიჭებოდა რევიზიის მოხდენის უფლება, თუ რევიზიის დროს აღმოჩნდებოდა, რომ ადგილობრივ ორგანოს მიერ თვისი მოქმედებით ჩადენილია რაიმე უკანონობა, გუბერნიის კომისარი აცნობებდა ამის შესახებ ერობის კრებას და თუ ეს გუბერნიის კომისარის აზრს თავისათვის მიუღებლათ ჩასთვლიდა, და ერობა არ მიიღედა ზომებს კანონიერების ასაღდგენათ, გუბერნიის კომისარს ეძლეოდა ასეთი ერობის დადგენილების სასამართლს წინაშე გასაჩივრების უფლება. ჩვენ ვხედავთ, რომ კანონმდებელი მეტად ფაქიზად ეკიდებოდა ადგილობრივ ორგანოთ ხელშეუხებლობას, და ყოველ ზომებს ხმარობდა, რომ სრულებით აღიარებული ყოფილიყო ადგილობრივი თავისუფლება და ამიტომაც ყოველთვის, იქ სადაც კანონმდებელი აღიარებს კონტროლის აუცილებლობას, ცდილობს ეს ცენტრალური ორგანოთა უფლება შემოსოს ისეთი დებულებებით და პირობებით, რომ ადგილობრივი ორგანოთა უფლებები და პრესტიჟი და ავტორიტეტები არ შეიზღუდოს და შეილახოს. აი ამისათვის კანონმდებელი მხოლოდ რთულ მხარეებს ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობისას, უმორჩილებს გაძლიერებულ ცენტრალურ ორგანოთა კონტროლს. თუ ერობის დადგენილება ეხება მმართველობას მას ესაჭიროება შინაგან საქმეთა სამინისტროს დამტკიცება (134 მუხლი) თუ ერობის დადგენილება ეხება სესხის აღებას, (ერობის უძრავ ქონების გირაოთ მიცემას) რომელიც განვილილ წლიურ ერობის შემოსავალს აჭარბებს, ან ერობის უძრავ ქონების გირაოთ მიცემა მას ესაჭიროება როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელისა ისე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელის დამტკიცება. (132) მაგრამ თუ ამ უკანასკნელებმა უარყვეს, როგორც არა კანონიერი ერობის დადგენილება, ერობის კრებას აქვს უფლება გაასაჩივროს ასეთი აღკრძალვა (запреще-ние) უზენაეს სასამართლოს წინაშე ერთის თვის განმავლობაში. მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ ორი კანონის მიღებით: 1) საგუბერნიო დაწესებულების და მასთან ერთად გუბერნიის კომისარის თანამდებობის გაუქმებისა და 2) ადმინისტრაციის მთელი მათი კრედიტები ერობაზე გადაცემით, შესწყდა კავშირი ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის, რადგან საგუბერნიო კომისარი იყო მთავრობის ადგილობრივი ორგანო, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებას უახლოვებდა ცენტრალურ დაწე-

სებულებებს, ეს იყო ის შუამავალი ორგანო, რომელიც შემაერთებელ შუნქციებს ასრულებდა, და ადგილობრივთა ცენტრალურ ორგანოთა ინტერესებს იცავდა, ისე რომ მისი თანამდებობის გაუქმების შემდეგ მთელ ჩვენს მმართველობის სისტემაში აღმოჩნდა ცარიელი ადგილი, რომელიც აუცილებლად შევსებული უნდა ყოფილიყო ახალი იურიდიული შინაარსით. ახალი ინსტიტუტის ჩარევით ამიტომაც პირველი საკითხი, რომელიც იბადება საგუბერნიო დაწესებულების გაუქმების და ადმინისტრაციის ერობებზე გადაცემის შემდეგ იყო კითხვა, თუ რომელ ადმინისტრაციულ თანამდებობათა განგებლობაში უნდა გადასულიყო საგუბერნიო და სამაზრო კომისრების უფლება—მოვალეობანი, რომელიც გათვალისწინებულია ამიერ კავკასიის საერობო დაწესებულებათა დებულების მე-7, 90, 132, 138, 139, 154, 155, 181 და 182 მუხლებით.

მართალია, იყო განზრახული საგუბერნიო კომისრის თანამდებობის გაუმჯობესობის შემდეგ ერთი ნაწილი მათი მოვალეობისა გადაცემული ყოფილიყო სამაზრო კომისრებზე და მეორე შინაგან საქმეთა სამინისტროზე, მაგრამ საგუბერნიო კომისრის მოვალეობათა შორის იყო ისეთებიც, რომელიც თავის არსებითად არ შეიძლება ყოფილიყო გადაცემული არც სამინისტროზე და არც ყოფილიყო დაკისრებული სამაზრო კომისარზე. ასეთ მოვალეობათ ეკუთნოდა, (კან. კრებ. მე 2-ორე ტომის 271 მუხ-სა;) უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლათ ადგილობრივ საგუბერნიო კომისარი რომელიც ზედამხედველობდა, რათა ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ, მათ შორის სამაზრო კომისრებსაც, რომელიც ერობის გამგებლობაში იმყოფებიან, მოღვაწეობა წარმოებულიყო კანონიერ ფარგლებში და სწორეთ იმ მოსაზრებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქონოდა საშვალეება თვალყურის ედევნა ადგილობრივი ცხოვრებისათვის, შეეკრიფა ცნობები სხვა და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებას ეხებოდნენ, საკირო ხდებოდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ყოლოდა თავისი აგენტი, რომლებიც ერთის მხრივ ასრულებდენ საგუბერნიო და სამაზრო კომისრების ჩამოთვლილ ფუნქციებს და მეორე მხრივ რომელთაგანაც შესაძლო იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ცნობების მიღება ყოველგვარი საკითხების შესახებ.

ინგლისში, სადაც თვითმართველობა უმაღლეს წერტილს აღწევს; ყოველ ცენტრალულ დაწესებულებასთან, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ადგილობრივ ცხოვრებასთან, არსებობს მთელი შტატი აგენტებისა, რომელთაც ევალებათ თვალყურის დევნა ადგილობრივ ცხოვრების მიმდინარეობაზე. სწავლა განათლების სამინისტროს ყავს თავისი ინსპექტორები, რომლებიც ადგენენ მოხსენებებს ყველა იმ სკოლების მოღვაწეობის შესახებ რომლებიც მთავრობისაგან სუბსიდიებს ღებულობენ.

1-ლი, არსებობენ საპოლიციო ინსპექტორები, 2-რე, შინაგან საქმეთა

სამინისტროში არსებობენ საპოლიციო აგენტები ვ-მე, საექიმო ინსპექტორები რომლებიც დროთა გამოშვებით, პერიოდულად იგზავნებიან ხოლმე სენის გავრცელების და მის გაჩენის მიზეზების აღმოსაჩენათ და შესასწავლად. აგრეთვე მიწათ მომქმედ სამინისტროს, ადგილობრივ მმართველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს ჰყავთ თავისი ინსპექტორები. (იხილ. ამის შესახებ **ХИТОМЪ АЕТ.**) კანტროლის დეკოცენტრაცია და ინსპექტორატის, მაგრამ ამ სისტემას როგორც მისი მკოდნეები მოწმობენ, ის ნაკლი აქვს, რომ ცენტრალური ორგანოები აღნიშნავენ ხოლმე უკვე მომხდარ უკანონობას, ამის მხრივ საფრანგეთის და პრუსიის სისტემა წარმოადგენს გამონაკლისს. ადგილობრივ ორგანოს მოქმედებაში დაშვებულის დეფექტის აღმოჩენა ადვილდება კონტროლის დეკოცენტრაციით, რადგან თვით იმ ორგანოში, რომლებიც ლეზულობს დადგენილებას, არსებობენ მთავრობის წარმომადგენელი.

ეს პრინციპი ქონდა შეთვისებული რუსეთის დროებით მთავრობას, როდესაც ის აწესებდა საერობო დაწესებულებას განაპირა ადგილებში, (რასაც თავის მოსაზრებები ქონდა,) მაგალ. კურლანდიაში და ესტლანდიის გუბერნიებში.

ასეთივე სისტემა აქვთ მიღებული ნორვეგიაშიც. (იხილეთ **Мѣстная Земская Единица.**)

აი, ზემოყვანილი მოსაზრების მიხედვით კანონმდებლობამ განიზრახა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაეწესებინა ინსპექტორისა და ორი მისი თანაშემწის თანამდებობა, ერთი ქუთაისში, მეორე თბილისში, რომლებზედაც უნდა გადასულიყვნენ ზემო ჩამოთვლილი ფუნქციები.

გ. ნანეიშვილი..

(შემდეგი იქნება.)

მცირე ერობა და სახალხო განათლება.

I.

რუსეთის ერობის ფართე მოღვაწეობის ერთერთი შედეგთაგანი, არც განათლების გავრცელება მასაში. დიდძალი ენერგია აქვს დახარჯული საზარო და საგუბერნიო ერობებს, როგორც თვით სკოლის საქმის განვითარებაში, ისე სკოლის გარე თვითგანვითარებაში. მაგალითად, 1917 წელს მოსკოვის მაზრაში იყო 243 ერობის სკოლა, 686 მასწავლებელით და 33 ათასი მოსწავლე-ბავშვებით. ამ სკოლებისათვის იხარჯებოდა ერთ მილიონზე მეტი ე. ი. დაახლოვებით იმდენივე, რამდენიც იხარჯებოდა აქამდის თბილისის გუბერნიის ერობის მოთხოვნილებაზე. გარდა ამისა, რუსეთში იყო, მოსკოვის მაზრაზე, უფრო დიდი მაზრები თავისი სიდიდით, მცხოვრებთა რიცხვით და სკოლებით.

მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ რუსეთი და მით უმეტეს კავკასია, კულტურულ მხრით, ჩამორჩენილი არიან არა მარტო ევროპიულ ქვეყნებთან შედარებით, წერა-კითხვის მკოდნე კავკასიაში ორჯელ ნაკლებია ვიდრე რუსეთში, არამედ სხვა მრავალი სახელმწიფოებთანაც შედარებით. მხოლოდ საოლქო ერობას შეუძლია ჩვენში ხელი შეუწყოს წერა-კითხვის გავრცელებას.

თუმცა მაზრები ჩვენში, საქართველოში, არ არი დიდ-სივრცეანი როგორც რუსეთში, მაგრამ მათ მაინც არ შეეძლებათ გააბან მთელ სოფლებში სკოლის ქსელი. სამაზრო გამგეობანი, იმდენათ იქნებიან გახვეულნი სხვა და სხვა საქმეებში, რომ მათ არც დრო ექნებათ, არც შეძლება და არც საკუთარი ძალა, რათა ხელი შეუწყონ სოფლების ახალ-ახალ მოთხოვნილებებს.

როდესაც გაიხსნება საოლქო ერობა, ეჭვი არ არის, რომ სკოლის საქმე უფრო წინ წავა. დაკმაყოფილებული იქნება სამეურნეო მოთხოვნილებანი ერობების სკოლებისა და სხვა. სკოლის მასწავლებელი, რომელიც არი გამოგზავნილი ქალაქიდან, მომზარებულია მცხოვრებთ და მცხოვრებნიც უნდობლათ ხედებიან მათ. ის, რასაც მასწავლებელი სკოლაში ბავშვებს ასწავლის, მცხოვრებთათვის უცხო რამეა. მოზარდი და მოზრდილი ბავშვები, როცა გამოდიან სკოლიდან, წყეტენ ყოველივე დამოკიდებულებას თავის ყოფილ მასწავლებელთან. თვით მასწავლებლებიც ხშირათ იცვლებიან და ეს უფრო აძნელებს მასწავლებლის მცხოვრებლებთან დაახლოებას.

გვექნება თუ არა ჩვენ კარგი პირველ დაწყებითი სკოლები, როგორც ამბობს ე. ზვიაგინცევი, ჩვენ საშვალება გვექნება მოვაწყოთ უმაღლესი გლეხთა სკოლა, გვექნება საშვალება კარგათ მოვაწყოთ პროფესიონალური განვითარება (სახელოსნო და სოფლის სამეურნეო საქმე), რომელიც სოფლისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

მცირე ერობის შემოღება, როგორც ამას ამბობს ნ. ეზერსკი, აუცილებელია და წარმოადგენს საზოგადოთ, თვით მხარეს მოთხოვნილებას, კერძოთ კი მნიშვნელოვანია სახალხო სკოლისათვის; სკოლაში მაშინ სულ სხვანაირად იწარმოებს სწავლა-განათლების საქმე. სკოლებს, რევიზიას გაუკეთებს არა მარტო წელიწადში ერთხელ ჩამოსული-ინსპექტორი, არამედ რევიზიას თვით მცხოვრებნი გააკეთებენ, — მცხოვრებთა ის ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ გაიგონ და დაინტერესდენ სკოლის ცხოვრებით საზოგადოთ. აი მაშინ იქნება სკოლა ხალხის და ხალხსაც აღმოუჩდება შეძლება, რათა გაანვითაროს სკოლა. („ერობის ცხოვრება“, № 11-12, 1912 წელს).

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე შემოვიღოთ ერობის მცირე ერთეული, რადგან ამ საერთოშორისო ომის დროს მცხოვრებნი უფრო ჩამორჩენ სწავლა-განათლებას. ყველა ნათლათ ხედავს, რომ ამ ბოლო ხანებში, სოფლებში სწავლა-განათლებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

და ის მნიშვნელოვანათ დაქვეითდა. ვინც კი წერა-კითხვა იცოდა ყველა ომში გაიყვანეს; სოფლათ დარჩა მხოლოდ უფიცი ხალხი და ის მოზარდი თაობა, რომლებმაც მიიღეს ზერელე სწავლა-განათლება. გარდა ამისა არც მასწავლებლები იყვნენ და არა მარტო ამ ბოლო ხანებში, არამედ არარიან არც ეხლა; მასწავლებლები მირბიან თავიანთ ადგილებიდან და მიისწრაფიან იქ სადაც უფრო მეტ სასყიდელს აიღებენ, ერთი სიტყვით სკოლები დაცარიელებული არი.

თანამედროვე ხანაში, წერა—კითხვის ცოდნა უფრო აუცილებელია ვიდრე უწინ. ახალმა წესწყობილებამ პირველ დღიდანვე მოითხოვა ხალხისგან წერა-კითხვის ცოდნა. საჭიროა არჩევნები საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებ., სხვადასხვა კომიტეტებისა, და სხვა. ყოველივე ამისთვის საჭიროა საერთო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემა.

როცა არჩევნები საყოველთაოა, უფიცი არ ეცოდინება, შეტანილია იგი საარჩევნო სიაში თუ არა, არ ეცოდინება როგორ უნდა ჩაეწეროს და სხვა. თუ კი არჩევნები არის თანასწორი, უფიცი არ ეცოდინება და იძულებული იქნება უარი განაცხადოს არჩევნებში, რომ ამით ზიანი არ მოუტანოს როგორც თავის თავს, ისე საზოგადოებას. თუ კი არჩევნები პირდაპირი და ფარულია, ამომრჩეველი უნდა გაეცნოს კანდიდატების სიას და თვით ამ პარტიის პროგრამას; ამას-კი უფიცი ვერ იზამს.

II.

სკოლის გარე სწავლა-განათლების მიღება, არსად არ არის ისე საჭირო, როგორც სოფელში. სოფლის სკოლებში მოწაფეები მხოლოდ 3—4 წელიწადი სწავლობენ, როცა სკოლას თავს ანებებენ, ისინი კიდევ 40—50 წელიწადს ცხოვრობენ.

„რუსეთში გლეხი ცხოვრობს, ამბობს ე. მედინსკი (იხ. „საოლქო ერობა,“ № 3. 1917 წ.). არა მოწამლულ ჰაერიან ქალაქში, არამედ სოფელში და იწევა ხვნა-თესვას და არა ფაბრიკა—ქარხანებში მუშაობს, როგორც ინგლისელები და გერმანელები. მაშ, რუსეთის სოფლებში უფრო ჯანთელი ხალხი უნდა იყოს ვიდრე ქალაქებში. მაგრამ ეს ასე არ არის. არსად არ არი ისეთი სიკვდილის დიდი პროცენტი, როგორც ეს რუსეთშია, 1000 ცხოვრებლებიდან იხოცება წელიწადში 28 კაცი, გერმანიაში—17 კაცი, ინგლისში—კი 14 კაცი კვდება. და ეს ყოველივე იმიტომ ხდება, რომ რუსეთში ხალხი მოუხეშავია, არ იციან როგორ მოუარონ პატარა ბავშვებს, ვერ იცავენ თავიანთ თავს ავადმყოფობისაგან და იკვებებიან ძალიან ცუდათ.

რუსეთში, თვით სიღარიბეც ამ მოუხეშაობით არი გამოწვეული. მაგალითად არსად არ მკიან ისე ცოტა პუოს ერთ დესიატინაზე როგორც რუსეთში. ერთ დესიატინაზე დათესილი ხორბალიდან რუსეთში მკიან მხოლოდ—45 ფუთს, როდესაც საფრანგეთში—86, გერმანიაში—132, და ინგლისში 147 ფუთი ხორბალი მოდის.

რუსეთის სოფლებმა, როგორც ამას ამბობს რგივე ავტორი, არ იცის როგორ აწარმოოს მეურნეობა და სად ან რაში იშოვოს ფული.

ყოველივე ამას ჩვენ ვამჩნევთ მთელ კავკასიაში და კერძოდ თვით საქართველოში.

ნუთუ საქირია ამის შემდეგ მტკიცება, რომ აუცილებელია სოფლებისათვის ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და სახალხო სახლები?

კერძო წიგნების კითხვას შეუძლია მეტი მოუტანოს სოფლის ხალხს, ვიდრე სკოლას. რასაკვირველია წიგნის კითხვა უნდა მოეწყოს ისეთ დროს, რომ მუშა ხელი საქმეს ჯერ მოცდეს. მაგალითად: სადამობით, კვირა დღეობით და სხვა. ბიბლიოთეკაში, სადაც აუარებელი წიგნები მოიპოვება, ყველას შეუძლია იპოვნოს, მისთვის საინტერესო საკითხის პასუხი. და ამისათვის, რომ ამორჩევა შეეძლოს მისთვის გამოსადეგ წიგნისა, აუცილებელია პოპულიალური კითხვის მოსმენა. მოკლე კურსები, სოფლის მეურნეობისა, მევენახობისა, მებაღეობისა, მებოსტნეობისა, მეფუტკრეობისა, აბრეშუმის მოწევისა, სარძეო მეურნეობისა, ღარიბ გლეხს მისცემს საშვალებას, რათა თავი იხსნას სიღარიბისაგან.

სახალხო გამოფენა, როგორც პოპულიალური ლექციები, გასაგებია, როგორც წერა-კითხვის მცოდნესათვის, ისე უფიცისათვის.

უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო სახლებს, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა-სამკითხველო, დარბაზი წარმოდგენისათვის და ლექციების საკითხავად და სხვა.

ასეთი სახლები, არა მარტო ანვითარებს ხალხს, არამედ იცავს მათ ლოთობიდან და სხვა არა სასიამოვნო საქმიდან.

სოფლის ერობამ უფრო კარგათ იცის თუ რა სჭირდება ამა თუ იმ სოფელს: ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სახალხო სახლი, კურსები თუ სახალხო ლექციები!

სკოლის გარე სწავლა-განათლების მიღება შესაძლებელია აგრეთვე პატარა სოფლებშიაც. მაგ. უფის, იაროსლავის და სხვა გუბერნიებში მოწყობილია ქოხებში პაწაწინა ბიბლიოთეკა, რომელიც წელიწადში მხოლოდ 60 მანათი ჯდება. ერობა ამნაირ ქოხების გასანათებლათ გზავნის თვეში ნახევარ ფუთ ნავთს.

ერობის გამოცდილებიდან ვიცით, რომ სოფლის საზოგადოებანი თავიანთ ხარჯით ინახავენ მოძრავ ბიბლიოთეკებს, გზავნიან ყუთით წიგნებს ერთ ალაგიდან მეორეში და ურიგებენ მათ მცხოვრებთ, ყოველივე ამით არავიფარო ხარჯი არ მოსდის ცენტრს. ამ ბიბლიოთეკებთან შეიძლება მოეწყოს აგრეთვე მოძრავი ლექტორთა ლექციების კითხვა, სინემატოგრაფიული ფარნით, სურათებით და გრამოფონით*). აგრონომი ვ. ვ.

*) იხ. პ. სალაშატინის წერილი „Организация народных чтений“ „Волостное Земство“ № 4, 1917 წლის.

შარკოვი (იხ. „Волостное Земство“ № 9, 10, 1917 წლის). ამტკიცებს, რომ დღევანდელი პრაქტიკა არაა საკმარისი, რომ სოფლის მეურნეობა კაცმა იცოდეს. არაა საკმარისი სიტყვით, სკოლით და წიგნებით მისი გავრცელება, არამედ საჭიროა მისი პრაქტიკულად გავლა. უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, სანიმუშო მიდორი, სანიმუშო საგლეხო მეურნეობა და სხვა და სხვა. უნდა მოეწყოს სამუშაო იარაღის და მანქანების სადგური. სასურველია ის იყვეს მოწყობილი ყველა სოფლებში. სასურველია აგრეთვე მოწყობილი იყოს ხორბლის საწმენდი პუნქტი, საბეითლო, სამკურნალო და ამბულატორია გლეხ მუშა ხალხის საქონლისათვის. პირველი პუნქტი საჭიროა სათითაოთ ყველა სოფელზე, მეორე კი თითო აგრონომიულ უბანში, უნდა მოეწყოს თითო ეს პუნქტი.

III.

ერობა არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სპეციალური ცოდნის გავრცელებით. სკოლებშიაც და სკოლის გარეთ კითხვაში უნდა გააცნონ ხალხს, მისი ახალი უფლება. აქამდის დაჩაგრული მცხოვრები, ეხლა თავისუფალი მოქალაქეა. არ შეიძლება რამდენიმე დღეში, ადამიანმა შეიგნოს ის ახალი, და მიხვდეს მას, რომ ის აღარ არი იმ უფლებით, რა უფლებაც მას ქონდა ძველი თვითმყრობელობის დროს.

აუცილებელია ხალხი პროულიაღურათ. იქნეს გაცნობილი მართველობის ახალ სისტემასთან. ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებების უფლებანი გაფართოვდა. აუცილებელია აგრეთვე ხალხი გაეცნოს მის ახალ მოვალეობას, ახალ გადასახადებს და სხვა.

აუცილებელია აგრეთვე, უვიცთ და ნახევრათ მცოდნე ხალხის ყურადღება მიქცეული იქნეს ერობის მიზნისაკენ და განსაკუთრებით მცირე ერობის ერთეულის მიზნისაკენ, უნდა განმარტებული და ახსნილი იქნეს თუ რა ნაყოფი მოიტანა ერობამ რუსეთში და ევროპაში და რას გაუკეთებს ერობა საქართველოში.

აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრარიულ რეფორმას. აუცილებელია ხალხი გაეცნოს ამ რეფორმას დაწერილებით, გაიგოს მისი მიზანი და სხვა.

ასეთია გამოცდილი ერობელთა აზრით, ახალი ერობის მიზანი და განსაკუთრებით ერობის მცირე ერთეულის მიზანი ხალხის სწავლა განათლების გავრცელებაში. შემდეგში თვით პრაქტიკა შეავსებს ამ ზემო აღნიშნულ ერობის პროგრამას, აღმოაჩენს კიდევ საჭირო ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ამ პროგრამის განსახორციელებლათ.

გ. თუმანოვი.

საშკოლო აღმშენებლობა.

(გაგრძელება.)

საშკოლო აღმშენებლობაში ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე საშკოლო შენობის გეგმის შედგენა.

შკოლის შენობის გეგმა მრავალნაირია; თანამედროვე შკოლაში უმთავრესი ყურადღება ეძლევა სინათლეს და ჰაერს აგრეთვე საკმაო ადგილს მოსწავლეთა თავისუფალი მოძრაობისათვის.

ზოგიერთ ქვეყნებში იმ ანგარიშით აშენებენ ბინას, რომ თვითიველი საჭიროებისათვის იყოს ცალკე შენობა და ყველა ეს შენობები შემომწყობი ვებული იყოს ერთი სივრცის გარშემო, მაგალ. საკლასო ოთახები თავის დერეფნებით ცალკე და სხვა შენობები კიდევ ცალკე. აღმშენებლობის ასეთ სისტემას თავის დროზე სასტიკათ იცავდა ცნობილი ეროსმანი, რომელიც ერთმანეთს ადარებდა საავათმყოფოების და ციხე-კახარმების შენობის სისტემებს. მისი აზრით, ამ უკანასკნელ შენობებს პავილიონების სახეს აძლევდნ და ამას ის დიდ უპირატესობას ანიჭებს საავათმყოფოს ტიპის შენობის წინაშე.

ამ სისტემის დასაცავათ მას მოყავს შემდეგი მოსაზრებები:

1. რაიმე საჭრთხის დროს დიდი შენობების დაცლა ბავშვებისაგან ძალიან ძნელია.

2. დასვენების დასაწყისში და გათავებისას, როდესაც ბავშვები თამაშობენ ეზოში თვით დასვენების დროს, როცა ბავშვები რჩებიან შენობაში, დერეფნებში და კიბეებზე საშინელი მტვერი ღვება.

3. კლასებიდან გამოსვლის და შიგ დაბრუნების დრო საშინლათ ამოკლებს თვით დასვენების დროს.

4. დასვენების დროს დერეფნები უცებ ივსება მოსწავლეთა დიდი რიცხვით და ამიტომ ასეთ დროს საშინლათ ძნელდება ჰაერის გასუფთავება—ვენტილიაცია.

ამ ტიპის მოწინააღმდეგეთ მოყავთ შემდეგი საბუთები:

1. ზედამხედველისაგან თვალყურის დევნა საშინლათ ძნელდება;

2. მოსწავლეებს უძნელდებათ ერთი შენობიდან მეორეში გადასვლა;

3. შკოლის ეზოს შექენას და შენობის აგებას მეტი ხარჯი სჭირდება;

4. იზრდება ყოველგვარი ხარჯი შენობის მოვლა პატრონობაზე.

საშკოლო აღმშენებლობის ამ სისტემაზე მრავალ ყრილობებს და კონგრესებს ქონიათ მსჯელობა და უმეტესი მათგანი მისი მომხრე გამოსულან. 1897 წლის მე XXII ყრილობა საზოგადოებრივ გიგიენის შესახებ ქალ. კარლსრუეში ამ ტიპის მომხრე იყო. ასევე მოიქცა ინტერნაციონალური კონგრესი საშკოლო გიგიენისა ნიურენბერგში 1904 წ. საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ ამ სისტემას ევროპაში ბევრი მომხრეები ყავს და მრავალ

ქალაქში შეხვდებით ამ ტიპის შენობებს, რომელნიც საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებენ მნახველებში.

ჩემის აზრით ამ სისტემას უპირატესობა უნდა შეეცეს, თუ ეს შესაძლებელია, რასაკრეიველია მატერიალურის მოსაზრებით.

შკოლის შენობის დერეფნებიც საკმაო ყურადღების ღირსნი არიან საშკოლო აღმშენებლობის დროს. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, თუ რა და რა ნაწილებსაგან უნდა შესდგებოდეს შკოლის უმცირესი შენობაც კი.

საკლასო ოთახების რიცხვის გამრავლებასთან ერთათ უნდა იზრდებოდეს დერეფნების სიდიდეც და უნდა იცვლებოდეს მისი სახეც.

საერთოთ ასეთი სისტემის დროს საკლასო ოთახები დერეფნის გარშემო არიან მოთავსებულნი; იქვე არიან სხვა დამხმარე ბინებიც. ამ სისტემას სამგვარი სახე შეიძლება მიეცეს.

1. დერეფანი არის შენობის შუაში და საკლასო და სხვა ოთახები მისი ორივე გვერდზე ჩამწყკრივებული.

2. დერეფნები რამდენიმე რიგათ სწორ-სობილად გამოდის შენობის მთავარი შუა ხაზიდან და ამ დერეფნებს ჩამწყკრივებული აქვს ორივე გვერდით საკლასო და სხვა ოთახები.

3. დერეფანი მიყვება შენობის ერთ გვერდზე და მის შიგნითა კედელს მისდევს საკლასო ოთახები.

წინათ ფიქრობდენ, რომ დერეფნები აუცილებელი ბოროტებაა მრავალ-კლასიანი შენობისათვის. ამ უკანასკნელ დროს დერეფნის შესახებ ისე აღარ ფიქრობენ, რადგან დერეფანი ყველას მიაჩნია შკოლის შენობისათვის წმინდა ჰაერის ერთათ ერთ აუზათ, რომლის შემწყვობითაც ყოველი დასვენების დროს სუფთავდება საკლასო ოთახის ჰაერი. ამ მოსაზრებით დერეფანი უნდა გაკეთდეს მხოლოთ ერთპირი, ესე იგი საკლასო ოთახები უნდა იყოს მოთავსებული დერეფნის მხოლოთ ერთ გვერდზე. საუკეთესო საშკოლო შენობებს ყველგან გვერდის დერეფნები აქვს. დერეფნის განი დამოკიდებულია მანზე, თუ როგორი მოძრაობა არის შიგ, ესე იგი, რამდენათ მრავალრიცხოვანია სასწავლებელი და რამდენათ საჭიროა საკლასო ოთახებისათვის დერეფნის შემწყვობით ჰაერის გაწმენდა. დერეფნის განს დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ამ საკითხს შესაფერ ყურადღებას აქცევენ საშკოლო შენობის აგების დროს. საერთოთ მიღებულია, რომ დერეფნის განი არ უნდა იყოს 5 არშინზე ნაკლები რაც გინდ პატარა შკოლა იყოს. რაც მეტი იქნება ეს განი, მით უკეთესია.

საშკოლო შენობის მეორე დიდმნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საკლასო ოთახი. მისი სივრცე დამოკიდებულია მოსწავლეთა რიცხვზე, სწავლის წესზე, საკლასო ავეჯის სისტემაზე და საკლასო ოთახის განათებაზე. საკლასო ოთახის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე განისაზღვრება გიგიენის მოთხოვნილებებისაგან. საკლასო ოთახის სიგრძე რაც შეიძლება მეტი უნდა იყოს, მაგრამ აქაც არსებობს ერთგვარი საზღვარი, რომელიც დამოკიდე-

ბულია ერთის მხრით მასწავლებლების ხმაზე და მეორე მხრით მოსწავლეთა მხედველობაზე და მსმენელობაზე. უკანა პარტებზე მჯდომი ბავშვები თავისუფლათ უნდა არჩევდნ დაფაზე დაწერილს, მასწავლებლის ხმა სრულათ უნდა ესმოდეს ყველას ისე, რომ მასწავლებელი ხმას არ უწევდეს ამის მიხედვით, საკლასო ოთახის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 12 არშინს.

საკლასო ოთახის განი არ უნდა იყოს დიდი. ღრმა კლასი უფრო ცუდათ იქნება განათებული და ამიტომ განი უნდა შეეფერებოდეს სიგრძეს. საერთოთ მიღებულია საკლასო ოთახის სიგანე არ აღემატებოდეს იატაკიდან ფანჯრის ზედაპირამდე სიმაღლის ერთნახევარს. სასურველია სიგრძით 12 არშინიან საკლასო ოთახს 10 არშინი სიგანე ქონდეს. საკლასო ოთახის სიმაღლე დამოკიდებულია მის სიგძე-სიგანეზე. რაც უფრო გძელი და განიერია საკლასო ოთახი, მით უფრო მაღალი უნდა იყოს მისი კედლები. საერთოთ მიღებულია საკლასო ოთახის სიმაღლე 5—6 არშინამდე. ბევრი მეცნიერი იმის მომხრეა, რომ საკლასო ოთახი რაც შეიძლება მეტი სიმაღლის იყოს, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ოთახის ვინტილიციისთვის.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი მოსწავლე უნდა იყოს კლასში, სხვა და სხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირათ არის გადაწყვეტილი.

პრუსიაში ერთკლასიანი შკოლისთვის მიღებულია 80 მოსწავლე, მრავალკლასიანი შკოლისთვის 70 მოსწავლე. საერთოთ გერმანიაში მიღებულია კლასში 50 მოსწავლე. ჩრდილოეთ ქვეყნებში—შვეციაში, დანიაში და სხვაგან, ეს ნორმა 37-მდე უწევს. თავისთავათ ცხადია, რომ იატაკის სივრცე და ჰაერის რაოდენობა თვითეულ მოსწავლეზე სხვა და სხვა ქვეყანაში სხვა და სხვა ნორმის არის მიღებული. ჩვენ შეგვიძლია აქ მოვიყვანოთ ორი ცხრილი ამ საკითხის შესახებ. ერთი მათგანი გვაჩვენებს იმას, თუ რა სივრცის იატაკი და რამდენი ჰაერი უნდა მოდიოდეს თითო მოსწავლეზე ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნით სხვა და სხვა ქვეყანაში და მეორე კი გვაჩვენებს იმას, თუ როგორ ექცევა ამ მოთხოვნებს ნამდვილი ცხოვრება აქ. თუ იქ.

წელი	ქ ვ ე ყ ა ნ ა.	იატაკის სივრცე (კვ. მეტრ.)	ჰაერის რაოდენობა (კუბ. მეტრ.)
1852	პრუსია	0,591.	1,8526.
1867	პრუსიის სამინისტრო	0,887—1,182.	3,90—5,20.
1867	ბავარია	0,68.	1,99.
1868	ბადენი	0,81.	3,00.
1871	ბაზელი	—	4,50.

1873	საქსონია	—	2,50.
1879	პრუსიის სამინისტრო	1,00.	„—“
1880			
1882	ავსტრია	1,60.	3,8— 4,5.
1883	საქსონია	0,591—0,690.	„—“
1883	ვიურტენბერგი	0,663.	3,0— 3,5.
1883	შვეიცარია	—	6,50.
1883	დრეზდენი	—	3,70—4,90.
1884	საქსონიის სამინისტრო	—	2,50.
1884	ბრესლაუ	0,60.	—
1888	პრუსია	—	2,00—2,37.
1893	საქსონია	—	2,50.
1900	გესენი	0,80.	3,00.
1905	ავსტრია	—	3,00.

საშუალოთ თითო მოსწავლეზე მოდის,
0,7556 კვ. მეტრი იატაკის სივრცე.
3,41 კუბ. მეტრ. ჰაერი.

აი მეორე ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს რამდენათ გასცილდა სინამდვილე კანონმდებლობას.

წელი	ადგილი.	იატაკის სივრცე.	ჰაერის რაოდენობა.
1870	ბერლინი	1,05—1,31.	4,50—4,80.
1870	ვენა	0,61.	—
1870	კელნი	0,74.	3,09.
1870	ბერლინი	0,79—0,89.	3,09—3,46.
1871—9	ლეიპციგი	1,42.	5,46.
1871	ბახელი	2,20.	4,37.
1874	მიუნხენი	1,12.	4,25.
1877—80	მაინცი	—	4,25.
1882	ბრაუნშვეინგი	0,5— 1,25.	2,0— 3,0.
1883	ბერლინი	0,911.	—
1883	ლეიპციგი	1,30.	5,19.
1887	გამბურგი	—	3,33.
1887	დრეზდენი	—	4—4,50.
1887	ლეიპციგი	—	4—4,50.
1887	შტუტგარდტი	—	4—4,50.

საშვალოთ იატაკის სივრცე მოდიოდა თითო მოსწავლეზე 1,03 კვ. მეტრისა და ჰაერი 4,08 კუბ. მეტრისა.

მოყვანელი ცხრილები, რასაკვირველია, შემთხვევითი ციფრებისაგან შესდგება, მაგრამ ისინი მაინც ცხადათ გვაჩვენებენ, რომ საკითხი იატაკის სივრცის და ჰაერის რაოდენობის ძლიერ მრავალ-ფეროვნათ არის გადაწყვეტილი სხვა და სხვა ქვეყნებში და გარდა ამისა ცხოვრების სინამდვილე უფრო შორს მიდის ამ საკითხში, ვიდრე კანონმდებლობა.

საკლასო ოთახის განათებასაც დიდი ყურადღებით ექცევიან ევროპის ყველა ქვეყნებში. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საკლასო ოთახი, რაც შეიძლება მეტი სიგძის უნდა იყოს. ამას მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევაში ოთახის ერთი გძელი კედლიდან სანათურები უნდა ქონდეს ოთახს. თითქმის ყველგან უდავოთ არის მიღებული, რომ საკლასო ოთახი უნდა ნათდებოდეს მხოლოდ ერთი მხრიდან—მარცხენა მხრიდან. მართალია ამ რამდენიმე ხნის წინათ ისეთი მეცნიერებიც ბლომათ მოიპოებოდნენ, რომელნიც საკლასო ოთახის ყოველი მხრიდან განათებას უჭერდნენ მხარს, მაგრამ ამ უკანასკნელ დროში მიღებულია, რომ ყოველმხრივი განათება მოსწავლეთათვის ფრიად მავნებელია. თუ დავათვალიერებთ შკოლებს გერმანიაში, ნორვეგიაში და დანიაში, ჩვენ დავინახავთ, რომ საუკეთესო შკოლის შენობებს განათება აქვს ერთი მხრიდან,—უთუოთ მარცხენა მხრიდან. ცხადია ასეთი განათება აკმაყოფილებს გიგიენის მოთხოვნილებას. სოფლის პატარა შკოლებში ხშირათ ორი მხრიდან განათებულ საკლასო ოთახსაც შევხვდებით, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ აქ ისე სასტიკათ არ არის ცხოვრებაში გატარებული მეცნიერებისაგან შემუშავებული სააღმშენებლო გეგმა.

დანიაში მხოლოდ 1900 წელში გამოიცა კანონი, რომელიც კრძალავდა საშკოლო ოთახის წინიდან და უკანიდან განათებას.

საფრანგეთის კანონი თხოულობს უთუოთ მარცხენა გვერდიდან საკლასო ოთახის განათებას. კედლის სიმაღლე იატაკიდან ფანჯრამდე არ უნდა აღმატებოდეს 1—1,20 მეტრს. ფანჯრის ზედა ჩარჩო რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ჭერთან. ფანჯრის სიმაღლე უნდა უდრიდეს საკლასო ოთახის სიგანის $\frac{2}{3}$. ინგლისის შკოლებში ეს სიმაღლე 4 მეტრზე ნაკლები არ შეიძლება იყოს.

საკლასო ოთახის მოწყობა შიგნიდან სხვადასხვა ნაირია ქალაქში და სოფელში. სოფლის შკოლის ჭერი და კედლები შეღებილი და გათეთრებული აქვს. ქალაქებში კედლები და ჭერი შეღებილია ზეთის საღებავებით. ხშირათ კედლებზე დახატულია სხვა და სხვა სურათები ცხოველთა ცხოვრებიდან. ჭერზე ხატავენ სურათს ქვეყნის მხარეების აღსანიშნავათ. ერთი სიტყვით საკლასო ოთახი ისეა გამშვენებული შიგნიდან, რომ მნახველი ადვილათ გაარჩევს მას სხვა შენობებისაგან.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ შკოლის სიმშვენიერე დამოკიდებულია

იმ საზოგადოების მატერიალურ კეთილდღეობაზე, რომელიც მას აარსებს. თვითეული რაიონი, თუ საზოგადოება სცდილობს რაც შეიძლება უკეთ გაამშენიეროს შკოლის შენობა, როგორც გარედან, ისე შიგნით, მაგრამ უკიდურესობა სრულიათ დაუშვებელია: საკლასო ოთახი არასოდეს არ უნდა იყოს ნამეტნავათ აჭრელებული, უთუოთ დაცული უნდა იყოს ერთგვარი გარმონია და ჩუქურთმებს და მოზაიკას ადგილი არ უნდა ქონდეს საკლასო ოთახის ჭერზე და კედლებზე. საკლასო ოთახის მოწყობის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ შკოლაში ბავშები მრავალ წლებს ატარებენ და ამიტომ საკლასო ოთახისაგან დატოვებული შთაღებუდილება უნდა იყოს განსაზღვრული ფორმის და სახის. სასურველია, რომ ყმაწვილმა შკოლიდან წასვლისას თან გაიყვლოს სიყვარული არა მარტო წესიერებისადმი და სისუფთავისადმი, არამედ მან უნდა წაიღოს თავის სახლში ჩვეულება და სიყვარული სიმშენიერესადმი და რივიანობისადმი.

ამ მხრივ ევროპაში, ბევრი რამ არის გაკეთებული. იქ ერთმანეთს ეჯიბრებიან შკოლის საუკეთესოთ მოწყობაში არა მარტო კულტურული ქვეყნები, არა მარტო დიდი ქალაქები, არამედ სულ პატარა ქალაქებიც ხშირათ ეჯიბრებიან მსოფლიოს უდიდეს ქალაქებს.

შკოლის შენობა შეადგენს სიამაყეს მცხოვრებლებისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეთათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შნეცია, სადაც შკოლისადმი სიყვარული უმაღლეს წერტილამდე აღწევს. აქ ხშირათ უღარბესი სოფლებიც კი უღამაზეს და უძვირფასეს შენობას აგებს შკოლისათვის. მცხოვრებლები არავეითარ ხარჯს არ ერიდებიან საშკოლო შენობისათვის,

ამ ქვეყნის შკოლის შენობები ანცვიფრებენ მნახველს თავის სიდიადით, სიმშენიერით და ხალხის მითდამი სიყვარულით. საშკოლო შენობა უთუოთ ყველა შენობებზე მაღალი უნდა იყოს ყველა შენობებზე დიდებული უნდა იყოს და მნახველის თვალს უნდა ეუბნებოდეს, რომ იმიტომ კი არ არის ასეთი მშენიერი, რომ მისი ამგებნი მდიდრები არიან, არამედ იმიტომ, რომ, ის ყველაფერზე უძვირფასესი და უსაყვარლესია მცხოვრებთათვის.

შკოლის შენობა, როგორც ისეთი ადგილი, სადაც თავს იყრის ბევრი ხალხი, უნდა აკმაყოფილებდეს სასტიკ მოთხოვნებს საკმაო და საუკეთესო ჰაერის მხრივ. თუ შკოლის შენობას არა აქვს საუკეთესოთ მოწყობილი ჰაერის გასასუფთავებელი აპარატები, ასეთი შენობა ვერ ჩაითვლება რაციონალური მოწყობილათ, საშკოლო შენობებში ჰაერი ძლიერ მალე ხდება. მრავალი ხალხის სუნთქვის გამო ჰაერში ერევა ბევრი ნახშირ მჟავა და წყლის ოროქლი; გარდა ამისა მოსწავლეთაგან მოტანილი მტვერი ფეხსაცმელების თუ ტანსაცმელის საშვალებით კიდევ უფრო უსუფთაოთ ხდიან შკოლის ჰაერს.

ერთმა გერმანელმა მეცნიერმა გამოიკვლია ლეიპციგის შკოლები და

სხვათა შორის აღნიშნა თავის ნაშრომში, რომ ერთ საკლასო ოთახში მშრალი ამინდის დროს შეგროვდა 191 გრამი ნაგავი და წვიმის დროს კი 327 გრამი. თუ რამდენი ორთქლი ერევა საკლასო ოთახის ჰაერს სუნთქვის გამო, ეს ნათლათ სჩანს ამ საკითხის გამოკვლევებში, სადაც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ერთი საათის განმავლობაში თითო მოსწავლე უმატებს საკლასო ოთახის ჰაერს 45 გრამამდე ორთქლს. ამ მოსაზრებების გამო შკოლის შენობისათვის აუცილებლათ საჭიროა ხელოვნურათ მოწყობილი ჰაერის საწმენდები. შკოლის ჰაერის გაწმენდის შესახებ ბევრნაირი აზრი არსებობს. ზოგიერთი მეცნიერი უმთავრეს ყურადღებას აქცევს შკოლაში ნახშირ მჟავე გაზის შეგროვებას და ამტკიცებს, რომ ეს გაზი საშინელ ვნებას აყენებს მოსწავლეებს. თუ ჰაერში ბლომათ შეგროვდა ნახშირ მჟავე გაზი, ასეთი ჰაერით სუნთქვა აღარ შეიძლება და ამიტომ საკლასო ოთახის ჰაერი უთუოდ უნდა გაიწმინდოს. ჰაერის გასასუფთავებლათ სხვა და სხვა გვარი პრაქტიკული ზომები არსებობს. ყველაზე ძველი ამ საშვალეებში არის გოლანდიის ღუმელი (ფეჩი), რომელიც ათბობს საკლასო ოთახში შესულ ჰაერს და ამასთანავე ხელს უწყობს გაფუჭებული ჰერის გარეთ გასვლას, მაგრამ ასეთი ჰაერის გასუფთავება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფეჩი ანთებულია, სხვა დროს კი ჰაერის გასუფთავება ამ საშვალეებით არ ხდება. გარდა ამისა ასეთი ფეჩის ყურის გდება, რომ მან წესიერათ იმოქმედოს, რომ ის თანაბრათ თბებოდეს, პრაქტიკულათ ძნელია. მიუხედავათ ამისა პატარა შკოლებს ქალაქებში და სოფლებშიაც ასეთი საშვალეების ხმარება უხდებათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის და თითქმის ქალაქის ყველა შკოლებშიაც შემოღებულია უბრალო თუჯის და უფრო ხშირათ თუნუქის ფეჩების ხმარება, რომელიც სრულიათ უვარგისათ უნდა ჩაითვალოს.

ამ უკანასკნელ ხანებში ქალაქის შკოლებში ჰაერის გასასუფთავებლათ იხმარება ერთგვარი სითბოს მომცემი აპარატები, კალორიფერები, რომლებიც შეერთებული არიან სათბობ მილებთან, მაგრამ აქაც ჩვენ გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევებთან, როცა ჰაერის გასუფთავება დაკავშირებულია ოთახის გათბობასთან, რასაც უარყოფითი მნიშვნელობა ეძლევა რადგან ოთახის გათბობა სამოსწავლო დროს უმეტეს შემთხვევაში საჭირო არ არის, მაშასადამე, არც ჰაერის გასუფთავება მოხდება ასეთ დროს. მიუხედავათ ამ ნაკლისა, ეს სისტემა დიდხანს ითვლებოდა ევროპაში საუკეთესო სისტემათ. ამ უკანასკნელ ხანებში კი ევროპაში უკეთესი საშვალეები გამოიგონეს ჰაერის გასასუფთავებლათ და ამიტომ კალორიფერიების ხმარებაზე ხელი აიღეს. მას შემდეგ, რაც ორთქლის და წყლის საშვალეებით საკლასო ოთახების თბობა დაიწყეს, ჰაერის გასუფთავებაც ასეთ აპარატებს დაუკავშირეს. ამ შემთხვევაში ოთახის ჰაერის ცვლა ხდება იმის გამო, რომ სხვა და სხვა ტემპერატურის ჰაერია ოთახში და სათბობ მილებში. აი, ეს სხვა და სხვაობა ჰაერის ტემპერატურისა ხელს უწყობს ჰაერის ცვალებადობას.

საუკეთესოთ ითვლება ჰაერის გაწმენდისათვის, ისეთი საშვალების ხმარება, რომელიც სრულიათ არ არის დაკავშირებული ოთახის გათბობასთან. ასეთია მექანიკურათ მოწყობილი ჰაერის საცვლელი მანქანა, რომელიც საშვალებას გვაძლევს იმდენი სუფთა ჰაერი მივსცეთ ოთახს, რამდენიც გვინდა, მაგრამ ასეთი მექანიკური მანქანისათვის საჭიროა ელექტრონის ძალა, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდენი არ არის.

ბ. რობაქიძე.

(გაგრძელება იქნება.)

ეროზის ბიუჯეტი.

ფინანსები — ერთი უდიდესი ღერძია, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. უფულოდ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია არა მარტო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, არამედ რაიმე საქმის დაწყებაც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დაარსდა თუ არა ჩვენში ეროზა, თავი წამოყო ფინანსიურმა საკითხმა მთელი თავისი სიგრძე — სიგანით. ადმინისტრაციის მოწყობა და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება; სწავლა-განათლების საქმე, საექიმო დახმარება, გზების გაკეთება და სხვა... მოითხოვენ ისეთ დიდ ხარჯებს, რომლის გაწევაც დღევანდელ პირობებში პირდაპირ შეუძლებელი ხდება. ჩვენი ნორჩი ეროზის წინაშე ასეთი დილემა აღიმართა: ერთის მხრივ განუსაზღვრელი მოთხოვნილება ფინანსებისა, მეორეს მხრივ-კი სრული ნივთიერი უსახსრობა. დღევანდელმა საშინელმა ომმა და დიდმა რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანად დაანგრია ის ფინანსიური აპარატი, რომელიც საჭიროა ყველა სახელმწიფოსთვის. მიუხედავთ იმასა, რომ ჩვენი რესპუბლიკა უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია რაც არსებობს, ჩვენმა საფინანსო უწყებამ ვერ შექმნა საფინანსო სისტემა. ეს, ასე ვთქვათ, მის ძალას აღემატება. ერთად ერთი გზა, რომელსაც ჯერჯერობით საფინანსო უწყება ადგია, ეს არის ბომბების ბეჭდვა და ამ ბეჭდვას არ უჩანს არც ბოლო და არც საზღვარი. ასეთ დაუსრულებელ ემისიას შედეგად მოსდევს ფულის დაცემა და ბოლოს ფინანსიური კრახი. საქართველოს რესპუბლიკის ხარჯები თვეურად 50 მილ. მან. აღის, წლიურად — 600 მილ. მან., ხოლო შემოსავალი წლიურად — 600 მილ. მან., ხოლო შემოსავალი წლიურად დაახლოვებით — 250 მილ. მან. აქედან წარმოსდგება ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს მუდმივი დეფიციტი და ფინანსიური კრახის აუცილებლობა, თუ ჩვენ ვერ შევსძელით რაიმე სისტემის შექმნა. რასაკვირველია ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ვერ გაუკაფია ეკლიანი გზა ფინანსიურ დაბრკოლებისა, ეროზა ვერ შესძლებს საკუთარი ძალით ბიუჯეტის მოწესრიგებას. მას ამ მხრივ წინ გადაელობება ისეთი დაბრკოლებანი, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გამჯდარი თვით

სახელმწიფოებრივ აპარატებში. საჭიროა ამოძრავდეს ეს აპარატი, რომ ერობის მუშაობა ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში. ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ერობამ გულზე ხელდაკრეფილი შეჰყუროს მომავალს. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა აღგვენიშნა ის მკიდრო კავშირი, რომელიც არსებობს ფინანსიურ დარგში ერობასა და სახელმწიფოს შორის.

მიუხედავად ზემო აღნიშნულ დაბრკოლებისა, ერობას შეუძლია ეხლავე მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც ცოტად თუ ბევრად წინ წასწევს მის ფინანსიურ მდგომარეობას. ეს ზომები გამომდინარეობენ ერობის საბიჯეტო უფლებიდან. კანონის ძალით (იხ. საერობო გადასახადთა წესდება §§ 37) ერობას შეუძლიან დააწესოს შემდეგი გადასახადები: 1) უძრავ ქონებაზე ქალაქებში და მაზრებში, სახელდობრ, მიწაზე, საცხოვრებელ სახლებზე, ფაბრიკა-ქარხნებზე, სავაჭრო შენობებზე და სხვა... 2) სავაჭრო მოწმობებზე (промысловое свидетельство), 3) საგზაო შენობებზე და ხიდებზე, რომელნიც ერობების განკარგულებაში იმყოფებიან. ამის გარდა ერობის შემოსავალს შეადგენს: 1) „სატრაქტორო“ გადასახადი ქალაქ გარეთ, 2) სასამართლოს გადასახადი სხვა და სხვა ქალაქებზე. მომრიგებელ მოსამართლის დაწესებულებაში. თანახმად § 40 იმავე წესდებისა საგუბერნიო ერობას სახელმწიფო ხაზინიდან ეძლევა ყოველ წლიურად ერთი მილიონი მანეთი. ეს მუხლი რასაკვირველია, თავის თავად იშლება, ვინაიდან დღეს ჩვენში საგუბერნიო ერობა არ არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა საჭიროა ამა თუ იმ სახით სახელმწიფოს დახმარება. ყველა ამ გადასახადებში თავის შემოსავლიანობით პირველი ადგილი უჭირავს მიწაზე გადასახადს, ხოლო მეორე — მიწაზე და სახლებზე გადასახადს ქალაქ ადგილებში და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებზე გადასახადს მაზრაში. ეს ორი წყარო შემოსავლისა რუსეთში იძლეოდა რევოლიუციის წინა წლებში (1914 წ.) $\frac{2}{3}$ მთელი საერობო რუსეთის შემოსავლისას. რაც შეეხება დანარჩენ გადასახადებს მაგ. საგერბოს, სავაჭრო მოწმობებზე და სხვა... იგი შეადგენდა შემოსავლის უმცირეს ნაწილს. მიწების და ტყეების შემოსავალმა 1871 წ. — 1912 წ. განმავლობაში იმატა ათჯერ. ეს შემოსავალი 1871 წ. უდრიდა 9,6 მილ. მან. ესე იგი $75,1\%$, ხოლო 1912 წელს 102,9 მილიონ მანეთს, ფაბრიკა-ქარხნებიდან საერობო შემოსავალი უდრიდა 1895 წ. — 5,3 მილ. მან. ე. ი. $8,1\%$ მთელი ბიუჯეტისას, ხოლო 1911 წ. — 25,3 მილ. მან. ე. ი. $13,4\%$ მაშასადამე 1895 წ. — 1911 წ. განმავლობაში საერობო გადასახადი ფაბრიკა-ქარხნებზე გაიზარდა ხუთჯერ. (იხ. Рус. Вѣд. 1 янв. 1914 г.). დაახლოებით იგივე სურათი გვეჩვენება თვალ წინ ამიერ-კავკასიაში. აქაც, როგორც მთელ რუსეთში, პირველი ადგილი უჭირავს მიწაზე გადასახადს, ხოლო მეორე ფაბრიკა-ქარხნების შენობებზე. 1909—1911 წ.წ. შემოვიდა საერობო გადასახადი სულ მთელ ამიერ-კავკასიაში — 18.267.060 მან. აქედან — საუფლისწულო, კერძო მფლობელთა და საგლეხო მიწებიდან და ტყეებიდან = 9.888.508 მან. ე. ი. $56,0\%$ მთელი შემოსავლისა, უძრავ ქო-

ნებიდან ქალაქებში = 2.348.421 მან. ე. ი. 13,1%, 2%¹/₁₀ გადასახადი ფაბრიკა-ქარხნებზე ქალაქ გარედ = 2.602.764 მან. ე. ი. 14,6%, საერთოდ-კი ეგრედ წოდებული „Окладной сборъ“ შეადგენდა ამიერ-კავკასიის საერთობო შემოსავლის უმთავრეს წყაროს და უდრიდა 86,8%¹/₁₀. ეს შემოსავალი ასე იყო გუბერნიებად დაყოფილი:

თბილისის გუბ.	3.431.407 მან.—18,8% ¹ / ₁₀
ქუთაისის გუბ.	1.695.939 „ — 9,3 „
სუხუმის ოლქი	372.445 „ — 2 „
ბათუმის ოლქი	353,327 „ — 1,9 „
შავი ზღვის პირის გუბ.	303,347 „ — 1,7 „
ბაქოს გუბ.	5.030.935 „ — 27,5 „
განჯის გუბ.	2.739.035 „ — 15,0 „
ერივნის გუბ.	1.800.653 „ — 9,9 „
ყარსის ოლქი	927.300 „ — 5,0 „
ზაქათალის ოლქი	264.861 „ — 1,5 „
დაღესტანის ოლქი	615.009 „ — 3,4 „
შემოსავალი, რომელიც გუბერნიებზე არ იყო განაწილებული	732.792 „ — 4% ¹ / ₁₀

სულ 18.267.050 მან.—100%¹/₁₀

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოდ ეს შემოსავალი მოდის მთელ ამიერ-კავკასიაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველო უდრის ამიერ-კავკასიის ტერიტორიის ერთ მესამედს, მაშინ მისი (საქართველოს) საერთობო შემოსავალი 1909—11 წ. შეადგენს დაახლოვებით შვიდ მილიონ მანეთს ანუ წლიურად — 2¹/₃ მილ. თუ მხედველობაში მივიღებთ ფულის საშინელ დაცემას და იმ აუარებელ ხარჯებს, რომელიც მოელის ჩვენს ერობას, მაშინ ჩვენ წინ გადაიშლება საშინელი სურათი მისი უსახსრობისა. ძველი წესწყობილების დროს, როდესაც ჩვენში ერობა არ არსებობდა, მთავრობა თითონ ანაწილებდა ზემოდ აღნიშნულ ფულს. ერთი მესამედი ამ შემოსავლისა იხარჯებოდა ხალხის კულტურულ და ეკონომიურ მოთხოვნილებაზე, მაგალითად სახალხო განათლების, ჯანმრთელობის და ეკონომიურ აღორძინების საქმეზე, ხოლო ორი მესამედი მიდიოდა უნაყოფო ხარჯებზე. მარტო პოლიციის რაზმის (Полицейская стража) შენახვა ჯდებოდა ყოველ წლიურად ორ მილიონ მანეთზე მეტი. 1909 — 1911 წ. მთელ ამიერ-კავკასიაში საშუალო რიცხვით იხარჯებოდა წელიწადში:

1) მთავრობის დაწესებულებათა შენახვა	2.496.369 — 45,3% ¹ / ₁₀
2) საერთობო გამგეობის შენახვა	35.224 — 0,6 „
3) სატუსაღოების აშენება—შენახვა	88.186 — 1,6 „
4) საგზაო ხარჯი (Повинность)	1.249.656 — 22,7 „
5) სახალხო განათლება	344.130 — 6,3 „

6) საზოგადოებრივი დახმარება	83.414— 1,5 „
7) საექიმო დარგი	1.092.007—19,8 „
8) საბეთლო ნაწილი:	46.863— 0,9 „
9) ეკონომიურ აღორძინება	71.220— 1,3 „
10) სხვა და სხვა ხარჯები	300— — „
11) მოულოდნელი ხარჯები	53.415— 0,9 „

ს უ ლ 5.560.784 — 100%

თუ თქვენ კარგად ჩაუყვირდებით ამ ციფრებს დაინახავთ, რომ ძველი მთავრობა განზრახ უყურადღებოდ სტოვებდა სახალხო საქმეს (განათლებას, ჯანმრთელობას და სხვა)... და იოლად მიდიოდა თითო ოროლა გროშის დახარჯვით. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლიან ამ გზით სიარული. ჩვენი ერობა—დემოკრატიული ერობაა და მისი უმთავრესი მიზანი არის ხალხის წელში გაშლა და კულტურული გაღონიერება. ამისთვის-კი საჭიროა დიდი ხარჯების გაწევა. დღეს ცხოვრების პირობები ისე შეიცვალა რომ იქ, სადაც წინედ საკმარისი იყო ათასები, მილიონებიც აღარ ჰყოფნის.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მთელი საქართველოს საერობო შემოსავალი 1909—11 წ. დაახლოვებით უდრის 2 $\frac{1}{3}$ მილ. მანეთს, ანუ თვითეულ ერობაზე 200.000 მან. ხოლო გასავალი კი უნდა ვიანგარიშოთ მილიონობით. იქნება ეს ხარჯები ზოგიერთებს გადაქარბებულად მიაჩნიათ, მაგრამ საბედნიეროთ თუ საუბედუროთ ეს ასეა.

მაშასადამე რაც უნდა ხელმოჭერით იცხოვროს ჩვენმა ერობამ, დეფიციტი დღევანდელ პირობებში აუცილებელია. საიდან უნდა აინახლა უროს ერობამ ეს დეფიციტი? აშკარაა, რომ აქ საჭიროა შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენა ან და ძველის გადიდება. ჩვენ ვიცით, რომ ერობის შემოსავლის უმთავრესი წყარო არის მიწა და უძრავი ქონება. მაშასადამე ჩვენ უნდა მივაქციოთ მას სათანადო ყურადღება. საერობო დებულების ძალით „უძრავი ქონება უნდა შეფასებულ იქნეს მის წმინდა შემოსავლის საშუალო რაოდენობის მიხედვით. თუ ამ შემოსავლის გათვალისწინება შეუძლებელია, მაშინ იგი ირიცხება ქონების ღირებულებასთან შეფარდებით“. (იხ. § 65.) „მიწების შემოსავლის გამოსარკვევად მაზრები იყოფიან ერთგვარ სამეურნეო ადგილებათ, რომელნიც განირჩევიან ერთანეთისაგან ნიადავით და სხვა პირობებით... (იხ. § 68). თვითეულ მაზრაში უნდა გამოარკვეული იყოს „1 დესეტინა“ მიწის საშუალო შემოსავალი“... (იხ. § 70). თვითეულ მიწად-მფლობელობის შემოსავალი ირკვევა ამა თუ იმ ქონების გამრავლებით დესეტინა მიწის საშუალო შემოსავალზე (იხ. § 71). ფაბრიკა-ქარხნების, სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებების შეფასება ხდება მათ შენობების შემოსავლის მიხედვით. თუ ამ შენობების შემოსავალი ირკვევა მათი ღირებულებით, მაშინ ამ შეფასებაში უნდა შე-

დიოდეს არა მარტო შენობის ღირებულება, არამედ—მანქანების და შიგნულ ტექნიკურ მოწყობილობისა“. (იხ. § 81). ამ შეფასების ანტი საერობო გადასახადთა გაწერის საქმეს აწარმოებდენ რუსეთში საგუბერნიო და სამაზრო ერობა, ხოლო ჩვენში მიწის გადასახადების გამწერი საგუბერნიო დაწესებულება, (Присутствие). გადასახადის რაოდენობა თვითიველ გუბერნიაზე ან ოლქზე მტკიცდებოდა სამ წელიწადში ერთხელ კანონმდებლობითი გზით. ზემოდ აღნიშნული საგუბერნიო დაწესებულება ანაწილებდა ამ გადასახადებს მაზრებ შორის, ხოლო სამაზრო გადასახადთა გამწერი კომისია—წვრილ ერთეულზე შორის. თავისთავად იგულისხმება, რომ საერობო გადასახადში მიწის მთელი წმინდა შემოსავალი კი არ შედის, არამედ—მისი რავდენიმე ნაწილი ანუ პროცენტი. უკანასკნელ ხანებში ეს ნაწილი უდრიდა შემოსავლის—7,2% სოფლად, ხოლო შენობებზე ქალაქ ადგილებში—4%.

ზემოდ ჩვენ ვთქვით, რომ საერობო დებულების ძალით მიწის შეფასება ხდება მისი წმინდა შემოსავლის რაოდენობის მიხედვით. ჩვენში ეს საქმე ფაქტიურად მინდობილი ჰქონდათ ხარკის ამკრებ ინსპექტორებს, რომელნიც ადგილობრივ ირკვევდენ ამა თუ იმ მამულის შემოსავლის რაოდენობას. ისინი ხელმძღვანელობდენ წინა წლების ცნობებით და მოქმედებდენ ამ დარგში შაბლონიურად. 1909—11 წ., მაგალ., ურწყავი მიწები დაყოფილი იყო სამ ხარისხად საშუალო შემოსავლით: 12 მ., 7 მ. და 3 მ. ერთ დესეტინაზე. 1912—1914 წ. თბილისის გუბერნიაში სათეს მიწის დესეტინის შემოსავალი იყო გამოანგარიშებული 1—14 მან. წელიწადში. დღეს—კი იმავე გუბერნიაში სარწყავ-სათეს მიწის შემოსავალი დესეტინაზე შეადგენს—5.000—1.000 მ. ურწყავის—3.000—300 მან. და ზვრების—3.800—2.100 მან. ცხადია, რომ მიწის შეფასების ძველი ნორმები უნდა შეიცვალოს მისი ეხლანდელ შემოსავლის მიხედვით. ეს, რასაკვირველია, საგრძნობლად ასწევს საერობო გადასახადების ჯამსა. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საფინანსო უწყება, რომელმაც შეიმუშავა პარლამენტში წასარდგენად ერთდროულ გადასახადების კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენ სახელმწიფოსთვის, არამედ—ერობის ბიუჯეტისთვისაც. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია შევაჩერო თქვენი ყურადღება მის ზოგიერთა მუხლებზე. „იმ ფულიდან, რომელიც შემოდის ყოველ მაზრიდან (ანუ ოლქიდან) გადასახადის დასაფარავად ოთხი მეხუთედი ($\frac{4}{5}$) ამ ფულისა ირიცხება, როგორც შემოსავალი ხაზინისა, ხოლო ერთი მეხუთედი ($\frac{1}{5}$)—როგორც შემოსავალი სათანადო მაზრის (ანუ ოლქის) ერობისა. (I § 6). „სახელმწიფო, საბევრო და საერობო მიწის გადასახადები 1919 წ. არ იქნეს გაწერილი (II). მაშასადამე მოკლედ რომ ვთქვათ ერობის სასარგებლოდ ერთდროულ გადასახადიდან გადაიღება $\frac{1}{5}$ შემოსავლისა და ამასთანავე აეკრძალება მას 1919 წ. განმავლობაში საერობო მიწის გადასახადის გაწერა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთავრობა ელის ამ ერთდროულ გადასახადიდან 70.000.000 მან. ერობებს ხვდებოდა წილად სულ დაახლოვებით 14.000.000 მან. ($70:5=14...$) ანუ თითო ერობას 1 მილ. $\frac{1}{6}$ მან. ამ თანხით კი ყოვლად შეუძლებელია ერობის არსებობა დღევანდელ პირობებში, რაც უნდა მცირე იყოს მის მიერ გაწეული ხარჯები. ამიტომ ჩვენის აზრით საჭიროა ზემოდ აღნიშნულ მუხლის შესწორება იმ მხრივ, რომ ერთდროულ გადასახადიდან ერობას გადაეცეს არა ნაკლებ $\frac{2}{5}$. ასეთივე შესწორება უნდა იქნეს შეტანილი III მუხლში, სადაც ლაპარაკია ქალაქების უძრავ ქონებაზე. ამასთანავე კანონში უნდა იყოს აღნიშნული, რომ ხაზინაში შემოსულ ერთდროულ გადასახადის ფულიდან ჯერ დაკმაყოფილებულ იქნეს ერობა და შემდეგ მთავრობა. როგორც ვიცით საფინანსო უწყებას დამზადებული აქვს კანონ-პროექტი სააქციოზო გადასახადის შესახებ, საიდანაც იგი მოელის დიდ შემოსავალს. ამ კანონ-პროექტის ძალით განზრახულია გადაიდოს ერობის სასარგებლოთ 15% შემოსავლისა. ჩვენის აზრით საჭიროა აქაც პროცენტის გადიდება. ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ მთავრობის და ერობის შორის უნდა გაიმართოს რაიმე ქიშპობა. პირიქით, საჭიროა მათ შორის მუდმივ თანამშრომლობის და სოლიდარობის განმტკიცება. როგორც მთავრობა, ისე ერობა ემსახურება ერთ მიზანს — ჩვენი ხალხის ნივთიერ და სულიერ ამაღლებას. თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობა სულ რვა თვეა რაც გამოცხადდა, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიური აპარატი რავდენადმე წარსულის შედეგია და სცოცხლობს მისი ნაშთებით. ერობა — კი ჩვენში ახალი ხილია. მას თავიდანვე ისეთ მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება, რომ არ შეუძლია ფაქტიურად ისარგებლოს თავის საბიუჯეტო უფლებებით. ამ საერთაშორისო ნგრევის ხანაში ძნელია რაიმე ახალი საქმის დაწყება. კულტურული მუშაობა პირველად ყოვლისა მოითხოვს თანხებს. ამიტომ მთავრობა უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი დახმარება აღმოუჩინოს ერობას, რომ ფეხზე დადგეს და წელში გაიშალოს ეს ნორჩი სახალხო დაწესებულება. ერობა იგივე სახელმწიფოებრივი აპარატია, იმ განსხვავებით, რომ მისი მოქმედების საზღვარი უფრო ვიწრო ტერიტორიით არის შემოფარგლული, ვიდრე სახელმწიფოსი.

ერობათა თანხების გასაძლიერებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია საქციალური კანონ-პროექტის შემუშავება. როგორც მოგვხსენებთ იანვრის დამლევს პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებად მიცემისა. რადგანაც ეს კანონი უნდა გატარდეს ცხოვრებაში ერობის დახმარებით, სამართლიანი იქნებოდა, რომ ნაწილი იმ ფულისა, რომელიც შემოვა მიწის გაყიდვით, გადაეცეს ერობას. ამის გარდა საჭიროა მიეცეს ერობას საფუთო გადასახადის გაწერის უფლება მეურნეობის და მრეწველობის სხვა და სხვა ნაწარმოებზე. ჩვენის აზრით საფუთო

გადასახადის რაოდენობის შემუშავება უნდა მიენდოს დაინტერესებულ ადგილობრივ ერობას, ხოლო მისი საბოლოო დამტკიცება — უმაღლეს კანონმდებლობითი ორგანოს.

როდესაც უკვე აღენიშნეთ ზემოდ, ერობას ეძლევა უფლება კანონის ძალით (§ 37 საერობო გადასახადთა დებულებისა) 2% გადასახადის გაწერისა ფაბრიკა-ქარხნების შენობებზე ქალაქ გარეთ. ეს გადასახადი იძლეოდა ამიერ-კავკასიაში მთელი ბიუჯეტის 14,6%, ხოლო რუსეთში — 13,4%. დღეს, როდესაც დანგრეულია მთელი ეკონომიური ცხოვრება, ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ახლო მომავალში იმატოს საერობო შემოსავლის ამ პარაგრაფმა. რაც შეეხება სახაზინო მიწებს და ტყეებს, რომელნიც იძლეოდნენ ერთობ მცირე შემოსავალს, ერობამ უნდა მიაქციოს მათ დიდი ყურადღება. 1909 — 11 წ. მიწებზე და ტყეებზე გადასახადიდან შემოვიდა ამიერ-კავკასიაში 10.537.558 მან. ე. ი. 59,1% მთელი საერობო ბიუჯეტისა. აქედან სახაზინო მიწებზე მოდიოდა 549.050 მან. ე. ი. 3,1% საერობო შემოსავლისა, ხოლო საუფლისწულო (удѣльные), კერძო მესაკუთრე და საგლეხო მიწებზე და ტყეებზე — 9.988.508 მან. ე. ი. 56%. სინამდვილეში საერთო განყოფილება ამ უძრავ ქონებათა შორის სულ სხვანაირი იყო. მთელ ამიერ კავკასიაში ტყეების სივრცე შეადგენს 5.051.118 დეს. აქედან ხაზინას ეკუთვნის — 3.969.626 დეს ე. ი. 78%, ხოლო დანარჩენებს — 1.081.492 დეს. — 22%. მაშინ, როდესაც საერობო გადასახადი ერთ დესეტინა სახაზინო მიწაზე მოდიოდა — 3 კაპ., იგივე გადასახადი დროებით ვალდებულთა გლეხების მიწაზე უდრიდა — 42,5 კაპ., ხოლო კერძო მესაკუთრეების — 20,4 კაპ.

ასეთი უთანასწორობა აიხსნება იმით, რომ გადასახადების გაწერა და აკრეფა ხდებოდა უსისტემოდ და ბიუროკრატიული წესით, რასაც შედეგად მოსდევდა საერობო შემოსავლის შემცირება. ამიტომ ჩვენ ეხლავე უნდა შეუდგეთ გადასახადთა აპარატის შექმნას და საერობო სტატისტიკის ორგანიზაციას. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ ეს შევძელით, საერობო შემოსავალი ათჯერ იმატებს. ამ საქმეში დიდი დახმარება შეუძლიანთ გაგვიწიონ წვრილ საერობო ერთეულებმა, რომელნიც ხალხზე ახლო დგანან და მის ნდობით არიან აღჭურვილნი. წვრილი საერობო ერთეული საუკეთესო აპარატია, რომელიც შესძლებს გაწვირდეს გადასახადების აკრეფას. ერობის შემოსავალი, რასაკვირველია, მარტო გადასახადებით არ განისაზღვრება. ერობა — იურიდიული პიროვნებაა და მას უფლება აქვს, მოჰკიდოს ხელი საკუთარ წარმოებას, თუ ამას იგი საჭიროდ დაინახავს. როგორც მოგვხსენებათ ამ ბოლო დროს ჩვენი ერობები ძალზე დაეწაფნენ აგრედ წოდებულ სასურსათო ოპერაციებს. ერობა ჩვენში, როგორც თვით მთავრობა, იძულებული იყო სასურსათო საქმისთვის მოეკიდა ხელი. დღევანდელ პირობებში ეს ყველაზე ადვილი და იოლი საშუალებაა, რომ ერობამ როგორმე სული მოიბრუნოს. მაგრამ უზომოდ გატაცება ამ საქმით არ

შეშენის ერობას. ადვილად მოგებული ფული უკარგავს ერობას თვის ნამდვილ სახეს და ჰკლავს მასში ნამდვილ შემომქმედების ინიციატივას.

ყველა ზემოდ აღნიშნული ჩვენ გვეუბნება იმას, რომ ერობის საქმე არც ისე უნუგეშო ყოფილა ჩვენში, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. მართალია დღეს ჩვენ ღარიბები ვართ, მაგრამ უცბათ არავენ გამდიდრებულია. თუ ჩვენ თვალს გადავაგლებთ სხვა ქვეყნების თვითმართველობის ისტორიას, დავინახავთ, რომ საერობო ბიუჯეტი ყველგან თანდათანობით იკიდებდა ფეხს. რუსეთში, მაგალ., საერობო ბიუჯეტი სამაზრო და საგუბერნიო ერობისა 34 გუბ. უღრიდა საშვალო რიცხვით წელიწადში:

1871—1875 წ.	25,2 მილ. მ.	1906 წ.	124,2 მილ. მ.
1876—1880 წ.	33,5 " "	1907 წ.	123,2 " "
1881—1885 წ.	40,9 " "	1908 და 1909 არ არის ცნობები.	
1886—1890 წ.	46,2 " "	1910 წ.	167,9 " "
1891—1895 წ.	56,3 " "	1911 წ.	188,2 " "
1896—1900 წ.	78,0 " "	1912 წ.	220,2 " "
1904 და 1905 წ.	არ არის ცნობები.		

მაშასადამე, 1881 წ.—1912 წლამდის საერობო ბიუჯეტი 34 საერობო გუბერნიაში გაიზარდა 25 მილ. მ. 220 მილიონამდის, ე. ი. თითქმის ცხრაჯერ. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი რუსეთში 1872—1912 წ. ავიდა 500 მილ. მან. 3.000 მილ. მან. ე. ი. გაიზარდა ექვსჯერ. მაშასადამე აღნიშნულ დროს განმავლობაში საერობო ბიუჯეტი იზრდება უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე სახელმწიფოებრივი. მიუხედავად ამისა საერობო ბიუჯეტი რუსეთში სახელმწიფოებრივ ბიუჯეტთან შედარებით ძალზე მცირე იყო. იგი შეადგენდა 1912 წ. სახელმწიფოებრივ ბიუჯეტის $\frac{1}{10}$. საერობო ბიუჯეტი 34 გუბ. 1912 წ. $2\frac{1}{2}$ —ჯერ უფრო მცირე იყო, ვიდრე გზათა სამინისტროს ბიუჯეტი (554 მილ.) და არ შეადგენდა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის (493 მილ. მან.) ნახევარს. (იხ. Рус. Вѣдомости 1 янв. 1914 г.). ყველაფერი ეს ადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძველი რუსეთი სულს უხუთავდა ერობას და არ აძლევდა მას გასაქან გზას. მარამ სულ სხვანაირ სურათს ვხედავთ დასავლეთ ევროპაში, სადაც მოქალაქეობრივი ცხოვრება მაღალ საფეხურზეა ასული. 1904 — 1908 წ.წ. საერობო და სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი იქ შემდეგი ციფრებით გამოიხატება:

	ადგილობრივი ბიუჯეტი.	სახელმწიფოებ. ბიუჯეტი.	დამოკიდ. ადგილ. ბიუჯ. სახელმწ.
ინგლისი	1639	1319	1 : 0,09
გერმანია	1448	3307	1 : 2,5
საფრანგეთი	1128	2974	1 : 2,6

იაპონია	207	626	1 : 3,0
რუსეთი	380	2580	1 : 6,9

(იხ. Юбилейный Земский Сборникъ. Ст. А. И. Шингарева 104 ст.). მაშასადამე საერობო ბიუჯეტის განვითარების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ინგლისს, ხოლო უკანასკნელი რუსეთს.

რომელი გზით წავა წინ ნორჩი რესპუბლიკა? თქვენ იცით, რომ ერობის განკარგულებაში უკვე გადმოვიდა ადმინისტრაცია, სასამართლო და შკოლა თავის კრედიტებით. ამას უეჭველია მოჰყვება შემდეგი ნაბიჯებიც და ერობა ჩვენში გადაიქცევა ნამდვილ თვითმართველ სახელმწიფოებრივ აპარატად. ჩვენის აზრით სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს მხოლოდ მცირეოდენი საქმე, რომლის ასრულებას ვერ შესძლებს ადგილობრივი თვითმართველობა. საზღვრების დაცვა გარეშე მტრისგან, რკინის გზების საერთო გამგებლობა და ფულის სისტემის წარმოება,— აი უმთავრესი ფუნქციები დემოკრატიული სახელმწიფოისა. ყველაფერი დანარჩენი უნდა გადაეცეს ერობას. რასაკვირველია მე ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ყველაფერი ეს უნდა მოხდეს დღეს ან ხვალ. მე მინდა აღვნიშნო მსვლელობის ტენდენცი.

დღეს ჩვენში არც სახელმწიფოა საბოლოოდ გამტკიცებული და არც ერობა. ჩვენ ჯერ კიდევ გარდამავალ ხანაში ვცხოვრობთ. ასეთ პირობებში, რომ სახელმწიფომ უეცრივ ხელი აიღოს ყველა თავის ფუნქციებზე, ქვიშაზე დარჩება დაწერილი ჩვენი თავისუფლებაც და დამოუკიდებლობაც. სხვა და სხვა ფუნქციების გადაცემა სახელმწიფოს მხრივ ერობების ხელში უნდა ხდებოდეს თანდათანობით და უმტკივნელოდ. ამას მოითხოვს თვით ერობის ინტერესი და თანამედროვე პოლიტიკური მომენტი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ვიდრე ერობა გაიჩენს ამა თუ იმ შესავლის წყაროს, უნდა გამოირკვეს და დამტკიცდეს კანონმდებლობითი გზით მისი საბიუჯეტო უფლებანი. ფვით კანონში უნდა აღნიშნული იყოს ის ობიექტები, რომელსაც დაადებს გადასახადს ერობა ან სახელმწიფო. ასეთი წინასწარი გამიჯვნა საბიუჯეტო დარგში ჩვენ მიგვაჩნია აუცილებლად, რათა დემოკრატიულ სახელმწიფოს და ერობის შორის დამყარდეს სოლიდარული თანამშრომლობა. დასავლეთ ევროპაში, სადაც ეკონომიური ცხოვრება ძალზე განვითარებულია, სახელმწიფოს შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენს პროგრესიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე. ამიტომ საფინანსო მეცნიერებაც აკუთნებს იქ სახელმწიფოს პრაგრესიულ გადასახადს, ხოლო თვითმართველობას—რეალურ გადასახადებს (ბინაზე, უძრავ ქონებაზე და სხვა..). ჩვენი ქვეყანა, როგორც ვიცით ეკონომიურად ჩამორჩენილია, და რასაკვირველია შეუძლებელია ამ პრინციპის წმინდათ გატარება ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა კანონმდებელმა უნდა გაიხადოს ეს საფინანსო დებულება იდეალად და ეცადოს შეძლების და გვარად განახორციელოს იგი ცხოვრებაში.

დ. ონიაშვილი.

როგორ უნდა მოეწყოს აგრონომიული დახმარება ერობაში 1).

სხვა აუარებელ საკითხთა შორის, რომელიც ცხოვრებამ დაუყენა ერობას გადასაჭრელათ, ერთი უმთავრესი საკითხთაგანია, თუ როგორ უნდა მოეწყოს აგრონომიული დახმარება სოფლათ.

აგრონომიულ დახმარებას მიზნათ აქვს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობა, სამეურნეო ცოდნის გავრცელება და საზოგადოთ სოფლის ეკონომიურათ გაღონიერება. ამ მიზნის მისაღწევათ ერობამ არ უნდა დაიმუროს არაერთი ხარჯი. საჭიროა გაიხსნას სამეურნეო სკოლები, გავრცელდეს კარგი ჯიშის საქონელი, მოეწყოს საცდელი მინდვრები, სანერგეები, და სხვა და სხვა. ყველა ამის გაკეთება უნდა იკისროს ერობამ და რაც უფრო ბევრს დახარჯავს იგი ამ დარგში, მით უკეთ მოაგვარებს აგრონომიულ დახმარების საქმეს.

ჩვენი სამშობლო მეურნეობის ქვეყანათ უნდა ჩაითვალოს. აქ მრეწველობა არ არის განვითარებული და მეურნეობას კი თითქმის მცხოვრებთა 85% მისდევს. ბუნებით იგი უხვათ არის დაჯილდოებული: ჰავა, ნიადაგი, გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა პირობები ხელს უწყობენ მეურნეობის აყვავებას. აქ ადვილათ ხარობს და უხვ მოსავალს იძლევა ბევრი სასარგებლო მცენარე, მათ შორის ისეთი ძვირფასი მცენარე, როგორიცაა ბამბა, ჩაი, ვაზი, თუთუნი და სხ. ამავე დროს კი თვით მეურნეობის ტექნიკა და მისი წარმოება ძალიან დაბალ საფეხურზე სდგას. შედარებაც კი არ შეიძლება დასავლეთ ევროპის მეურნეობასთან. ევროპაში მიწის დამუშავება და მოსავლის აკრეფა ხდება მანქანებით, იქ მიწის ერთ მტკაველს ვერ ნახავთ დაუმუშავებელს, ჩვენში კი ბევრგან უწინდელ მამაპაპურ გუთნებით და ფარცხებით სთესავენ გაუწმენდავ, ნაგვიან ხორბალს ნახევრათ დასამუშავებელ ხნულში. ამ პირობებში საკვირველი არ არის, რომ ჩვენი მინდვრები იმის ნახევარსაც არ იძლევიან, რის მოცემაც მათ შეუძლია. ამის დასამტკიცებლათ პატარა მაგალითს მოვიყვან. რაც უფრო მაღალ საფეხურზე სდგას სოფლის მეურნეობა, მით ხორბლის საშუალო მოსავალიც დიდია; აი, ცნობები ამის შესახებ: 2).

საშუალო ხორბლის მოსავალი ერთ დესეტიანზე:

ბელგია	128 ფუთი
დანია	110 "
საფრანგეთი	80 "
გერმანია	77 "
რუსეთი	38 "

საქართველოს შესახებ ცნობა არ მაქვს, მაგრამ მგონია, რომ მისი

1) 1919 წელს ერობათა ყრილობაზე წაკითხული მოხსენება.

2) ლოხტინი — „რუსეთის მეურნეობა“.

საშუალო მოსავალი უახლოვდება რუსეთისას. ასეთივე ჩამორჩენის ნიშნები ეტყობა ჩვენი მეურნეობის სხვა დარგებსაც — მებაღეობას, მეღვინეობას, მესაქონლობას. ამ ჩამორჩენას თავის მიზეზები აქვს. სხვა მიზეზთა შორის ჩვენი სოფელი აქნამდის მოკლებული იყო აგრონომიულ დახმარებას. დასავლეთ ევროპის მეურნეობის ინტენსივობა სხვათა შორის იმითაც აიხსნება რომ სახელმწიფო დიდ ფულს და შრომას ხარჯავს სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლათ: აწესებს აუარებელ მოძრავ კათედრებს, სამეურნეო სკოლებს, გამოფენებს, საჩვენებელ მინდვრებს და სხ. მიზნათ აქვთ ფართო აგრონომიული დახმარება გაუწიონ ხალხს. — თვით ჩამორჩენილ რუსეთში ერობის შემოღების შემდეგ ეს საქმე საუცხოვოთ დააყენეს ზოგიერთ გუბერნიებში. შეუძლებლათ მიმაჩნია ყველა იმის ჩამოთვლა, რაც რუსეთის ერობამ ამ დარგში გააკეთა, მაგრამ საჭიროა მოვიყვანო ზოგიერთი ცნობა. 1870 წლიდან დაწყებული რუსეთის მეურნეობა განიცდიდა კრიზისს — ამერიკის იათფასიინმა ხორბალმა დასცა რუსეთის პურის ბაზარი და უკიდურეს გაჭირვებაში ჩააყენა მეურნე გლეხი, რომელიც ამასთანავე იღრჩობოდა მიწის საშინელ სივიწროვით. 1890 წელს ეს კრიზისი უფრო გამწვავდა. სხვა და სხვა გუბერნიის ერობა ცდილობს თავი დააღწიოს ამ გაჭირვებას და იძულებული ხდება მიმართოს ისეთ ზომებს, რომლის მიზანიცაა სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება. ასეთ ზომათ დაინახეს საერობო აგრონომების ორგანოზაციის შემოღება და ამ წლიდან იწყება აგრონომიული დახმარების მოწყობა სხვა და სხვა ერობებში.

1908 წელს თითქმის ყველა ერობებში მოწყობილია გუბერნიის და მაზრის აგრონომები, დაარსებულია გამგეობასთან აგრონომიული საბჭოები და ამნაირათ აგრონომიული თათბირი ხდება მუდმივ მოვლენათ. ზოგ ერობებში აგრონომიული დახმარება უფრო გააფართოვეს და შემოიღეს უბნური დახმარება, როგორც მაგალითათ — 1908 წლიდან — მოსკოვის, სამარის, პოლტავის და ხერსონის გუბერნიებში. თუ რამდენი დაუხარჯავს სხვა და სხვა ერობას აგრონომიულ დახმარებაზე (სამეურნეო ნაწილზე) ეს სჩანს ქვემოთ მოყვანილ ორი ცხილიდან (მიწ. მოქმ. დეპარტამენტის ცნობით). მაგალითისთვის მომყავს ცნობები შვიდი ერობის შესახებ:

დახარჯულია სამეურნეო ნაწილზე (ასი თუმანი):

მაზრის ერობა	1899 წ.	1904 წ.	1905 წ.	1906 წ.	1907 წ.	1908 წ.	1909 წ.	1910 წ.
ეკატერინოსლავის	92	206	234	249	374	571	692	828
ორლოვის	35	82	75	77	65	68	61	81
პოლტავის	251	414	470	400	425	475	603	779
ტავერიდის	75	99	104	99	114	128	149	167
ტულის	33	38	46	50	61	65	113	874
ხარკოვის	117	237	253	238	295	358	471	516
ხერსონის	123	191	304	263	301	341	369	555
სულ 7 ერობაზე	728	1269	1489	1379	1638	2009	2460	3016

1909 წ. ხარჯი მოდიოდა (სამეურნეო ნაწილზე) — კაპეიკობით.

მაზრის ერობა	თითო დათ. დეს.	თითო სულზე
ეკატერინოსლავის	18,6	20,9
ორლოვის	3,5	2,5
პოლტავის	20,8	13,6
ტავრიდის	4,8	8,2
ტულის	9,2	6,8
ხარკოვის	18,0	13,5
ხერსონის	8,6	12,8

ზემოთ მოყვანილი ციფრები შეიძლება მივიღოთ საშუალოთ, რადგან ერობები ზოგან მეტს, ზოგან ნაკლებს ხარჯავენ ნაჩვენებზე. მაგრამ აგრონომიულ დახმარებას მარტო ერობა არ აწარმოებს. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი, ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოებანი, საკრედიტო დაწესებულებანი — ყველანი აკეთებენ ამ საქმეს. სპეციალისტების, სამეურნეო სკოლების და საცდელ მინდვრების შენახვა, სამელიორაციო ხარჯების გადაება, სხვა და სხვა სამეურნეო დარგის დახმარება — ყველა ამის ხარჯს თუ სრულიათ არა, ნახევარს მაინც კისრულობს დეპარტამენტი.

სადაც აგრონომიული დახმარება მკვიდრ ნიადაგზე იყო დაყენებული და ხანგრძლივით სწარმოებდა იმ ადგილებში ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობაზე. სოფლათ გაჩნდა საუკეთესო სამეურნეო იარაღი, გამრავლდა კარგი ჯიშის საქონელი, ხვნა თესვაში მორიგებითი თესვა შემოიღეს, მიწის დამუშავების ტექნიკა გააუმჯობესეს — ერთი სიტყვით ამ ადგილებში ექსტენსიური მეურნეობა ადგილს უთმობს ინტენსიურს. თვით აგრონომიულ დახმარების ორგანიზაცია ერთნაირათ არ არის მოწყობილი სხვა და სხვა ერობებში.

აგრონომიულ დახმარების გეგმის ცხოვრებაში გატარება გვალება ურობის გამგეობას, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება აღმასრულებელი ორგანო — აგრონომიული განყოფილება და ეკონომიური საბჭო. აგრონომიულ განყოფილების შემადგენლობაა: მაზრის აგრონომი, მისი თანაშემწე და სხვა რაიონში მომიშავე ერობის სპეციალისტ-აგრონომი. ეკონომიურ საბჭოში ან აგრონომიულ კომისიაში შედიან: 1) 3—5 ხმოსანი, 2) წარმომადგენელი ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებისა, 3) წარმომადგენელი კოოპერატივებისა, 4) გამგეობის წევრი, 5) წარმომადგენელი მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისა, 6) სპეციალისტ-აგრონომები და 7) მოწვეულნი თვით საბჭოსგან.

ეკონომიური საბჭო და აგრონ. კომისია იხილავს მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვას, მუშაობის გეგმას, წარმოდგენილ პროექტებს და ამის შემდეგ ყველა ეს მასალა ეგზავნება გამგეობას. ეს უკანასკნელი თუ საჭიროთ დაინახავს განხილვის შემდეგ თავისი დასკვნით აღნიშნულ პროექტს წარუდგენს მაზრის ხმოსანთა ყრილობას. დამტკიცების შემდეგ, პროექტი გადაეცემა აგრონომიულ განყოფილებას სისრულეში მოსაყვანათ. აგრონომ-

მიულ პერსონალის მუშაობას კანტროლს უკეთებს ერობის გამგეობა და ადგილობრივ რომელიმე საზოგადო დაწესებულება (მაგალითათ—სამეურნეო საზოგადოება, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა). წელიწადში ერთხელ ან ორჯელ ერობა მართავს სამეურნეო თათბირს, რომელზედაც მოწვეულია როგორც ბიუროს და საბჭოს წევრნი, ისე სხვა და სხვა სოფლის წარმომადგენელნი, კოოპერატორები, მეურნეები და სხ. ამ თათბირზე აგრონომიული განყოფილება იძლევა ანგარიშს თავის მოქმედებაში, იხილავენ სხვა და სხვა საკითხს, ამტკიცებენ მომავალი წლის მუშაობის გეგმას და სხ.

მაზრის აგრონომის გარდა, მაზრაში მუშაობენ—რაიონის ან უბნის აგრონომები და ინსტრუქტორ-სპეციალისტები. მაზრის აგრონომი თვალყურს ადევნებს რაიონის აგრონომის მუშაობას და პასუხს აგებს გამგეობის წინაშე, რომ აგრონომიული დახმარების გეგმა გატარებულ იყოს მთელ მაზრაში. სამეურნეო სკოლებს, როგორც დაბალ ისე საშუალოს ინახავენ მიწათ მოქმედების დეპარტამენტი და ერობა. საქმის დაყენება ერობის განკარგულებაშია. საცდელი მინდორი არის სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის სრულ განკარგულებაში და ერობა ზოგიერთ შემთხვევაში ეხმარება ხარჯებით.

ისეთ სამეურნეო ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, არც ერთი სამეურნეო სკოლა არ დაუარსებია ძველ მთავრობას (თუ არ ჩავთვლით თბილისის და ქუთაისის საბაღოს სკოლებს, რომლებიც მთავრობისგან მცირე დახმარებას იღებდნენ).

1913 წელს შემოიღეს მთელ ამიერ კავკასიაში ევრეთ წოდებული საერობო აგრონომიული ორგანიზაცია, რომელსაც განაგებდა ნამესტნიკის კანცელარია. ყოველ გუბერნიაში აგრონომიულ დახმარების საქმეს სათავეში ედგა სამეურნეო თათბირი, რომელზედაც გუბერნატორი თავმჯდომარეობდა, ეს თათბირი იკრიფებოდა წელიწადში ერთხელ ან ორჯელ, რომელზედაც გუბერნიის აგრონომი აძლევდა ანგარიშს თავის მოქმედებაში კითხულობდა მომავალი წლის მოქმედების გეგმას, ამ თათბირის წევრებათ ირიცხებოდნენ—სხვა და სხვა სპეციალისტები, მოხელეები, წარმომადგენელი სასოფლო—სამეურნეო საზოგადოებისა, თავად-აზნაურობის წინამძღოლი და ნაკლებათ თვით სოფლის მეურნენი.

მთელი გუბერნია დაყოფილი იყო რაიონებათ და ამ უკანასკნელს განაგებდნენ აგრონომიულ დახმარების მხრივ რაიონის აგრონომები და ინსტრუქტორები.

რაიონის ხარჯებისთვის (საცდელი მინდვრები, მუდმივი მუშების ჯამაგირი, სამეურნეო იარაღის შეძენა) ყოველ წელს გადადებული იყო თითო რაიონზე 5.000 მან. ეს ფული არ ჰყოფნიდა მარტო ინვენტარის შეძენასაც და სხვა საქმეები გაუკეთებელი რჩებოდა. მთელი აგრონომიული პერსონალი ექვემდებარებოდა გუბერნატორს.

1913 წელს დაარსეს საერობო ხარჯებზე სპეციალისტების მანე მწე-

რებთან საბრძოლველი ბიურო, რომლის მოქმედების ასპარეზს შეადგენდა რამდენიმე გუბერნია.

ახლათ დაარსებულმა ორგანიზაციებმა მართალია თავისი წვლილი შეიტანეს აგრონომიულ დახმარებაში, მაგრამ მათ მუშაობას ორი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი გამოუჩნდა—საერთაშორისო ომი და ორგანიზაციის ყალბ ნიადაგზე აშენება. 1914 წელს გამოცხადდა საქვეყნო ომი და ამ გარემოებამ სრული დეზორგანიზაცია შეიტანა აგრონომიულ მუშაობაში—მოისპო სამეურნეო იარაღების, თესვების და სხვა და სხვა მასალების მიღება, პერსონალი მოსწყვეტეს თავის პირდაპირ საქმეს, სოფელი დაცარიელდა. მეორე მიზეზი, როგორც ზემოთა ვთქვი, ორგანიზაციის ყალბ ნიადაგზე აშენება იყო—პერსონალის მიღება—დათხოვნა გუბერნატორის ხელში იყო და პროტექციის ძალით ბევრი არა სასურველი პირი მოჰხვდა ორგანიზაციაში, მეორე მხრივ—ძალიან მცირე ჯამაგირს და გზის ხარჯს აღევდნენ ხსენებულ პერსონალს და ამის გამო ზოგმა თავი დაანება სამსახურს, ზოგმა სხვა საქმეც იშოვა. საზოგადოთ—კი ცოტა ინარჯებოდა აგრონომიულ დახმარებაზე—მაგალითად, მთელ თბილისის გუბერნიაზე გადაღებულ იყო 1918 წ. მარტო 15.000 მან.

ეს საერობო აგრონომიული ორგანიზაცია დღესაც არსებობს, მაგრამ ზემოთ მოყვანილ მიზეზების გამო იგი თავის მოვალეობას ვერ ასრულებს და ითვლება მხოლოდ ქალაქდზე.

ზოგ ერობაში, აგრონომიულ დახმარების მოწყობა, თავის მნიშვნელობით ქვა-კუთხედია ერობის მომავალ მოქმედებაში და ზოგან კი ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აგრონომიულ დახმარების მოწესრიგება უნდა იყოს ყველა ერობაში ერთნაირი. აგრონომიულ დახმარებას აზრათ აქვს სოფლის ეკონომიურათ გაღონიერება. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა სოფლათ ინტენსიურ მეურნეობას გავაჩენთ, რათა სოფელმა შესძლოს ყოველ სამეურნეო დარგში მუშაობა აწარმოოს უკანასკნელი ტენიკისა და ცოდნის მიხედვით. ამიტომ ერობაში მოწვეული უნდა იყვეს დაუყოვნებლივ საქმის მცოდნე სპეციალისტ აგრონომები სამეურნეო ხალხში გასავრცელებლათ და მიმდინარე აგრონომიულ საქმის საწარმოებლათ.

ცხადია ერობის ფინანსიურ მდგომარეობას ანგარიში უნდა გაუწიოთ, მაგრამ არის მთელი რიგი მიმდინარე საქმეებისა, რომელიც დღესვე უნდა ვაწარმოოთ. ასეთი საქმეებია: რაიონში უკვე არსებულ სამეურნეო მანქანების მოვლა, მათი გაქირავების მოწყობა, ახალი სამეურნეო იარაღის, თესვების, საწამლმვი მასალის შოვნა და განაწილება, კონსულტაციის მოწყობა, ცნობების შეგროვება და სხვა ყველა ეს საქმეები უნდა იკისროს ახლათ მოწვეულმა აგრონომიულმა პერსონალმა.

ერობამ ისეთი პირობები უნდა შეჰქმნას, რომ 1) აგრონომიულ პერსონალის მუშაობა იყოს ნაყოფიერი და 2) მოეწყოს შესაფერი კანტროლი.

აგრონომი ი. ქურდიანი.

(გაგრძელება იქნება).

ქ რ ო ნ ი კ ა .

ქალაქთა თვითმართველობაში.

✱ თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ქალაქის განკარგულებაში გადასვლა. ფინანსური კომისიის მოხსენების თანახმად, შესახებ სახალხო უნივერსიტეტის ქალაქის განკარგულებაში გადასვლისა, გამგეობამ დაადგინა მიიღოს სახალხო უნივერსიტეტი თავის განკარგულებაში, მისცეს მას ავტონომია, როგორც სწავლის ხელმძღვანელობის ნაწილში ისე სამეურნეო ნაწილშიაც.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში იქნება ქალაქის ერთი წარმომადგენელი.

გამგეობამ მიიღო ხარჯთაღრიცხვა 1019 წლის 130.000 მან. 20.000 მ. გამოკლებით რომელიც უნივერსიტეტს შემოსავლის სახით ექნება.

სატრაქტირო გადასახადის შესახებ. ამ წელს სატრაქტირო გადასახადი, ქალაქის გამგეობამ გადაიღა 2,271,000 მანეთამდე. რადგანაც სატრაქტირო ქარხნების პატრონებმა უარი ჰყვეს ამ გადასახადის განაწილებაზე კომისიის არჩევა, ვინაიდან მათ ეს გადასახადი ძლიერ ედიდათ (გასულ წელს ამ გადასახადის ჯამი სულ 564,434 მან. იყო). ქალაქის გამგეობამ თითონ განაწილა თავის მიერ დანიშნული გადასახადის ჯამი შემდეგნაირად: 74 რესტორანებს მიაწერა 1,029,200 მან., 4 სასტუმროს—85,600 მან., 7 ბუფეტს, კლუბებში—74,900 მან., 3 ბუფეტს რკინის გზების სადგურებში—12,700 მან., 6 ბუფეტს თეატრებში—12,700 მან., 1 ბუფეტს ცირკში—2,000 მან., 5 ბუფეტს პროექტორებში—3,000 მან., 76 მოწყობილ ოთახებს—325,000 მან., 38 ყავახანას—61,200 მან., 64 საჩაიის ცხელი საჭმელით—103,000 მან., 245 სასადილოებს—524,400 მან., 55 საჭმლის გამკეთებელ ღუქნებს—23,400 მან. და 22 ბაკს 13,900 მან.

ქალაქის გამგეობის სესხი. ქალაქის გამგეობა, თავის ფინანსიურ მდგომარეობის დროებით გასაუმჯობესებლად საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტიდან 3 თვის ვადით მილიონ ნახევარს სესხსულობს.

საავადმყოფოების კომისია. ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ქალაქის საავადმყოფოების მდგომარეობა.

✱ ქალაქის მიერ ეწყობა უფასო აბანო სადაც ტანსაცმელის დეზინფექცია იქნება „გელიოსის“ აპარატით. ღარიბებს მიეცემათ უფასოთ $\frac{1}{2}$ გირვანქა საპონი.

✱ ეპიდემიასთან საბრძოლველად გადაწყვეტილია ალექსანდროვის საავადმყოფო მოეწყოს 120 საწოლით სახადიან ავადმყოფებისათვის და დაცულ იქნეს ამბულატორია, ვენერიულ ავადმყოფებისათვის.

ბიუჯეტი სრული სახით ჯერ კიდევ არ არი შემუშავებული. საჭიროა ავანსი 90.000 მან. მოსაწყობად და შტატის მოსაწვევად.

ტრამვაის შემოსავალი. ტრამვაის გასულ წლის განმავლობაში სულ 1,155,000 მან. შემოსავალი ჰქონია. ამავე დროს 10,600,000 მან. ხარჯი გაუწევია. მაშასადამე წმიდა მოგება დარჩენია 555,000 მან. ამჟამათ კი ტრამვაი ქალაქს ზარალს აძლევს, რადგანაც დღიურ შემოსავლით ვერ დაუხურავს საჭირო ხარჯები, რომელიც თანდათან მატულობს.

ქალაქ სიღნაღის შუამდგომლობა. სიღნაღის ქალაქის თვითმართველობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ მთელი წლის ნახევარი ხარჯი მილიციის 99000 მ. მიხედულობით წარსულ 1918 წ. მიიღოს და გახსნას საჩქაროთ კრედიტი, რადგანაც თვითმართველობას არ შეუძლია ყოველ თვიურათ დააკმაყოფილოს მილიცია, რაც უკმაყოფილებას იწვევს თვითმართველობის და მილიციის შორის.

თელავის თვითმართველობის მოღვაწეობის წლიური ანგარიში ოქტომბრიდან 1917—1918 წლის დამლევამდე. საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო: სულ 30 ხმოსანი, ფრაქციულათ ნაწილდება ასე:

- 1) სოციალ-დემოკრატების ფრაქც.—16 ხმოსანი.
- 2) სოც. ფედერალისტთა ფრაქციიდან—3.
- 3) ეროვნულ დემოკრატ.—3.
- 4) დაშნაკუთუნის პარტიიდან—6.
- 5) ორი სოციალისტ-რევოლიუციონერი, 1 კადეტი.
- 6) ვაქართა კავშირიდან—1.
- 7) უკრაინელი—1.

ადმინისტრაციული ნაწილი: კომისარიატს შეადგენს: კომისარი, მისი თანაშემწე და საქმის მწარმოებელი.

ქალაქის გამგეობამ უპირველესათ ყოვლისა მიაქცია ყურადღება მილიციის მოწყობას. მილიციის შტატი შესდგებოდა—20 კაცისაგან, მხოლოდ თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამგეობამ ვერ შესძლო ყოლოდა სრული შემადგენლობა, შტატი არ აღემატებოდა 16—17 მილიციონერს, მარტო წლის დამლევს გამგეობამ მოახერხა შევსება მთელი შტატისა. ახლა ყავს 20 მილიციონერი. ეს დანაკლისი აიხსნება უსახსრობით.

თვით მილიციონერები ვერ იღვენ სათანადო სიმაღლეზე, ხშირათ ზოგიერთს მათგანს უმტკიცდებათ დაახლოვება და კავშირი ქურდებთან და ყაჩაღებთან.

გამგეობა ბევრს ენერგიას ხარჯავდა ამ სენთან ბრძოლაში, ცდილობდა მოეწვია სამილიციო თანამდებობაზე სინდისიერი და პატიოსანი მოქალაქე, მაგრამ მცირე ჯამაგირების გამო ბევრი არ მოდიოდა.

ფინანსიური ნაწილი. განახლებულ თელავის თვითმართველობის გამგეობა ჩაუდგა ქალაქის საქმეებს და მეურნეობას სათავეში 13 სექტემბერს 1917 წელს.

მან მიიღო ქალაქის ბიუჯეტი, რომელიც შესდგებოდა 24.749 მან. და 48 კაპ., თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ ომმა და რევოლუციამ საზოგადოთ გამოიწვია ფინანსიური კრიზისი, ადვილი გასაგებია, თუ რა ფინანსიური გაჭირვებას განიცდიდა ქალაქის თვითმართველობა თავის მოქმედების პირველ ხანაში. ამ ფინანსიურ გაჭირვებულ მდგომარეობის მოსაწესრიგებლათ, დიდი ხარჯების დასაფარავად ახლათ შედგენილ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, გამგეობა შეუდგა გამონახვას შემოსავლის ახალი წყაროებისა, შემოღებას და გადიდებას სხვა და სხვა პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადებისა.

ყველა მიღებულ გამგეობის მიერ ფინანსიური ზომებისა. და ნაბიჯების წყალობით ქალაქის 1917—1918 წლის ბიუჯეტმა მიიღო შემდეგი სახე; 1917 წლის შემოსავალი იყო 32749 მან. 48 კაპ., გასავალი—28983 მან. 78 კაპ.; 1 იანვრისთვის 1918 წ. სალაროში იყო ნაღდი ფული—3765 მან. 70 კაპ.; აქედან—13 სექტემბრიდან 1917 წლის დამლევამდე შემოვიდა—21858 მ. 28 კ., გავიდა—15385 მან. 31 კაპ. ძველ შემადგენელობის დროს (1 იანვრიდან 13 სექტემ.) შემოვიდა—10.891 მ. 20 კ., გავიდა 13.598 მან. 47 კ. 1918 წ. ნამდვილი შემოსავალი იყო—357.754 მან. 94 კაპ. გასავალი 349.200 მან. 65 კაპ. 1 იანვრისთვის 1919 წლის სალაროში იყო 8.554 მ. 29 კაპ. გარდა ამისა იმავე 1918 წ. შემოსავლელი დარჩა (გადასახადები და სხვა) 30.417 მან. 14 კაპ., გადასახდელი იყო ვალები, ღირებულება შესძენილ ქონებისა 90.058 მან. 55 კაპ.; მისაღები რომ შემოსულყო და გადასახდელი გადახთილიყო წლიური ჯამები მიიღებდენ შემდეგ სახეს. შემოსავალი 388.172 მან. 8 კაპ.

გასავალი 439.259 მან. 20 კაპ., დეფიციტი შეადგენს—51.087 მან. 12 კაპ.

1917—1918 წლ. ქალაქის ბიუჯეტის ასეთი საოცარი გარდა შედარებით წინა წლის ბიუჯეტთან—388.172 მან. 8 კაპ. თხოულობს ახსნას:

დიდი ნაწილი ამ ბიუჯეტისა შეადგენს არა პირდაპირი გადასადის (როგორც მილიციის შესანახად გადასახადი 30.000 მან.), შემთხვევითი შემოსავალი (როგორც, მაგალითად, შემოღებული ქრისტეშობისთვის გენერალ—გუბერნატორის მიერ მდიდრებზე გადასახადი 100.000 მან., ყოფილი საქალაქო სასურსათო კომიტეტიდან—11.571 მ.) ჯარიმები, შემოწირულება სესხი და სხვა,—მაშინ, როდესაც მართო ერთი მესამედი ხედება პირდაპირ გადასახადებს და შემოსავალს ქალაქის საკუთარ უძრავ მამულიდან თქმა არ უნდა ამ გვარ საძირკველზე აშენებული ბიუჯეტი არღვევს დემოკრატიულ პრინციპს ფინანსიური სისტემისა, რომლის ძარღვს შეადგენს პირდაპირი, პროგრესიული გადასახადები შემოსავალზე, მხოლოდ სამეურნეო სისტემის დარღვევის მიხედვით მთელ სახელმწიფოში საზოგადოთ და კერძოთ დიდი ხარჯების დასაფარავათ ქ. თელავში, რომელიც აწვებოდა თვითმართველობას, ეს უკანასკნელი იძულებული ხდებოდა ცენტრი თავის

მოქმედებისა საქალაქო მეურნეობაში გადაეტანა არა პირდაპირი და შემთხვევითი გადასახადებზე რომ ასე ამ გვართ თავიდან აეცდინა მოსალოდნელი ფინანსური კრახი.

შესამჩნევათ იმატა შედარებით წინა წლისა, ბიუჯეტის იმ ნაწილმაც, რომელიც შესდგება პირდაპირი გადასახადებისაგან. მაგალითად, დასაფასებელ კომისიის მიერ მიღებული შეფასება ქალაქის უძრავ მამულებისა საბჭომ გაადიდა ერთი ორად და გადასახადი წინეთ $\frac{1}{2}$ კაპ. გახადა $1\frac{1}{2}$ კაპ., ამ შეფასებამ და გადასახადებმა ქალაქს მისცა 45.000 მან. (წინა წლის — 7.516 მან.); სატრაქტორო გადასახადებმა — მისცა 4.103 მან. (წინა წლის — 769 მ.); საქალაქო სასწორი — 2.748 მ. (წინა წლის — 765 მან); ქალაქის 10 დუქნიდან — 3.096 მ. (წინა წლის — 1.416 მ.), სასაკლამო — 6.520 მ. (წინა წლის — 1.750 მ.), ასე გაიზარდა დანარჩენი გადასახადებიც.

სამეურნეო და განათლების ნაწილი.

ქალაქის სამეურნეო ნაწილში აღსანიშნავია სამი დიდი შეძენა თვითმართველობის მიერ; ესაა აფთიაქი, საავათმყოფო და ელექტრონის სადგური წისქვილით. აფთიაქმა შეიღო თვის განმავლობაში 27 მაისიდან 1 ქრისტეშობისთვისმდე 1918 წ. მისცა შემოსავალი — 119.635 მან. 16 კაპ., გასავალი — 110.630 მ. 4 კ. საავათმყოფო დაარსდა კერძო შემოწირულებათა საშუალებით. მოქალაქე მოსე გიორგის ძე ხითაროვმა თავის დაპირებულ შემოსაწერ თანხიდან 50.000 მან., გადასცა 20.000 მან., ექიმ თუმაჯანოვმა, ექ. ავალიშვილმა და სხვებმა — 1.225 მან., ახლა საავადმყოფო თითქმის ინახავს თავის თავს, თავის შემოსავლით, მაგრამ შემდეგში თუ მას არ აღმოუჩინეს ფართო ქონებრივი დახმარება, მოსალოდნელია დიდი დეფიციტი. — საავათმყოფოში ორი განყოფილებაა: სტაციონალური — საწოლით; აქედან სამი უფასოა — ლარიბთათვის, დანარჩენი ფასიანია, და ამბულატორული, — ამბულატორული დახმარება ლარიბთათვის, ქალაქის გამგეობის შემოწმებით, უფასოა, დანარჩენებისთვის მანეთი სულზე.

ელექტრონის სადგური წისქვილით. მართალია, როგორც ფინანსიურ ნაწილში აღვნიშნეთ სადგურმა მოგვიტანა დეფიციტი, მაგრამ მივიღებთ მხედველობაში დიდ ხარჯებს, რომელიც მოგვივიდა ახალი მატორის შეძენით, წისქვილის ქვებისა და საზოგადოთ სადგურის მოწესრიგებაში და თუ გავითვალისწინებთ ახალ საზოგადოებაზე იჯარით გადაცემას, თამამათ ითქმება, რომ ელექტრონის სადგური თავის წისქვილით წარმოადგენს ქალაქისათვის არა საზარალო, არამედ სასარგებლო შეძენას.

ქალაქმა ვერ შესძლო ქუჩების გადაკეთება და მოკირწყვა, რიყის ნაპირების გამაგრება, ახალი სასაკლავო მოწყობა, მეორე ხიდის გაკეთება, რადგან ქალაქის ინჟინერ-ტეხნიკის გამოანგარიშებით დაჯდებოდა არა ნაკლებ 600.000 მანათი.

გამგეობამ შესძლო მარტო ხიდის ყურეში გაემაგრებინა რიყის ნაპი-

რი, სადაც მიეცა საშუალება დაედგმევიწინებინა კიოსკი და გაეჭირავებინა წვრიმალ ვაჭრობისათვის.

შესამჩნევლათ შეაკეთა სასაკლავო და გაიყვანა ხიდი კურდღელაურის გზაზე აბანოების და ქალაქის საავათმყოფოს შუა; შეაკეთა აგრეთვე ქუჩების ქვატყეცილი ზოგიერთი ადგილებში და დაეხმარა ილდაკნის საზოგადოებას ვაგზლის ქუჩის გაფართოვება-შეკეთებაში. სამოქალაქო ბალი გაამშენიერა, გაიყვანა შიგ დასაღვეი წყალი, თავის აუზით. აუზის წყლით ბალი ზაფხულობით ირწყება. ბალი დაყოფილია ნაჭრებათ რიგზე და შიგ გაშენებულია მცენარეები და ყვავილები; მასში გამართულია დასაჯდომი.

გამგეობამ ქალაქის სამ ნაწილში (სასწორთან, ზემო და ქვემო ბაღებში) გამართა წვრილი მოვაჭრეთათვის შესაფერი კიოსკები, რომლებიც გაჭირავებულია შეღავათიან ფასებში.

გამგეობა აქცევდა ყურადღებას ქალაქის სანიტარულ მხარესაც. შესდგა თვითმართველობასთან სანიტარული კომისია, რომელიც შეძლების და გვართ ცდილობდა, რამდენად უწყობდა ხელს ფინანსიური მხარე, დაეცვა ქალაქში ჯანმრთელობა და სისუფთავე. ყოველივე გაჩენილ ეპიდემიას დროზე ებრძოდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეპიდემია ძალიან გაძლიერებულიყო და მიეყენებინა მცხოვრებთათვის დიდი მსხვერპლი.

გარდა სანიტარულ კომისიისა ექიმ ავალიშვილის თავმჯდომარეობით, სიცოცხლე და უნარი მოქმედებისა გამოიჩინეს ქალაქის სასურსათო კომიტეტის ხმოსან ლ. გოგნიაშვილის თავმჯდომარეობით; ბინის კამერამ ხმ. ბ. ილალოვის თავმჯდომარეობით და დამფასებელ კომისიამ ხმ. ივ. პაატაშვილის თავმჯდომარეობით და ტენიკურმა კომისიამ, დანარჩენთ საბჭოს კომისიებმა (სკოლების გაეროვნების, შრომის, სარევიზიო, სასკოლო, სახალხო სახლის ასაშენებელი და ფინანსიური) ვერ გაამართლეს ნდობა და დავალება თვითმართველობისა.

განათლების სფეროში თვითმართველობა საანგარიშო წელში ფრიად მოიხსტებდა: ამ მხრივ გამგეობას თითქმის არაფერი გაუკეთებია მარტო აღმოუჩინა დახმარება—800 მან. პირველ დაწყებით სკოლას ქალბ. ჭავჭავაძის, ძველი წლის ვალიდან დაუბრუნდა ვაჟთა გიმნაზიას—1.000 და 500 მან. უმაღლეს დაწყებით სამოქალაქო სკოლას.

